ერთი ნომერი მეცამეტე

ფასი 10 კაპ.

შაბათი, 1917 წ. მკათათვის 1 (13)

საქართველო

ხელის მოწერა და ადრინდელი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакц. „Сакартвело“, почт. ящикъ № 76

ტელეფონი 15—73

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ერთ გვერდზე პეტიტით ღირს 30 კ., ჭკანასკნელზე—20 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 50 კ. 4-ზე 30 კ., ტექსტში—80 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით 15×2 ღირს 6 მ.; 20×2 ღირს 8მ., 25×2 ღირს 10მ. 3 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ა. კალანდაძის სტამბაში) ღირ. მეტი.

თვიურად გაზეთი ღირს 2 მანეთი.

№ 141 ყოველდღიური გაზეთი ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა № 141

გაზეთის შინაარსი

საგულისხმო ცნობები

სოფ. საბუეს ლეკები თავს დაესხნენ და 1500 ცხვარი გაიტაცეს.

დროებითმა მთავრობამ დასჯილი ქართველი მაჰმადიანები გაანთავისუფლა.

რუსეთის ჯარმა იეზეპოლ-სტანისლავოვ-ზოგოროდჩინის ფრონტზე მტერი დაამარცხა და ქ. ლვოვი აიღო. აიღო აგრეთვე რამდენიმე პუნქტი.

დასავლეთის ფრონტზე გერმანელების იერიშებია.

ფინეთი დამოუკიდებლობას ანხორციელებს.

შრომის მინისტრმა მუშებისადმი მოწოდება გამოსცა.

მიწის ყიდვა-გაყიდვის აღკრძალვა.

ჩინეთის რევოლიუციონურმა ჯარმა პეკინს ალყა შემოარტყა.

მუშათა და დეპუტატთა სადეპუტატოების ყრილობა დასრულდა.

წერილები

მეთაური. დამფუძნებელ კრების არჩევნები საქართველოში.

გრ. ცხაკაია. თანამედროვე რუსეთი.

ი—ე. მოსკოვის მრეწველთა შეკავშირება.

ახალციხის მხარე.

საქართველოს მომავალ საეკლესიო ყრილობისათვის.

მწუხარებით გულმოკლულნი მშობლები: **გერმანე და ნადეჟდა გოგიტიძეები, ბებია ნინა გოგიტიძისა და ანუშკა ჯადიეშვილი, ბიძა ალექსანდრე და ბიცოლა ნინა ჯადიეშვილები და თეკლე დოლიძისა,** აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ უდროვოდ გარდაცვალებას

პატარა გივის

დაკრძალვა მოხდება შაბათს, მკათათვის 1-ს, ოზურგეთის ქალაქის სასაფლაოზე.

1—697—1

ამიერ-კავკასიის ბანკი

თბილისი, ლორის მელიქოვის ქუჩა № 5. ტელ. № 5—26. **დაიწყებს თავის მოქმედებას 3 ივლისს 1917 წ.** 2—754—1

საქართველოს ეროვნულ-დემოკ. პარტიის 2-ე უბნის კომიტეტი

გადავიდა **ახალ ბინაზე,** ფრეილინის ქუჩა № 12. ქართულ საადგილ-მამულო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდინ და საღამოს 7—9 საათამდინ, ეხსიზოთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს განმავლობაში მობრძანდნენ ხოლმე ცნობების მისაღებად, წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გარდასახადის და შეწირულობის შემოსატანად.

10—755—1

ქართველთა სავარჯიშო საზოგადოება „ამირანი“

იწვევს თავის წევრებს **საერთო კრებაზე** თბილისის ქართულ გიმნაზიის შენობაში, ხუთშაბათს, თიბათვის 29-ს დილის 10 საათზე.

იქვე ჩაიწერებიან ახალი წევრები.

4—745—4 **ქართველთა სამხედრო კავშირი.**

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთზე

1917 წლ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წლ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიური ხელის ღმობერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილთაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეპტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართია: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

X და XII უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძობათა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. დუმბაძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

10—742—4

ქართველთა სამხედრო კავშირისა

მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სახახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის“ რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.

10—740—5 **კომიტეტი ქ. ს. კ.**

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათა ჩაწერება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან **ვ. ყიფიანთან.**

751

საუკეთესო საწერი „მელანი“

ალიზარინის ფერისა, დავამზადე და ვყიდი ბოთლს 10 მანეთათ. 1 ბოთლიდან გამოდის 10 გირვანქა მელანი, გირვანქა ჯდება 1 მანეთი. 2 გირვანქა სეროფია მოხარშული, წმინდა წყალი დაესხმება 8 გირვანქა და დაჭანჭყარდება, მეტი არაფერია საჭირო, მელანი საწერათ მზათ იქნება.

მისამართი ადრესი ქ. თელავი კ. ონიკაშვილი.

6—741—5

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის

მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

მოუწოდებს ყველა წევრთა და თანამგრძნობთ დაესწრონ კრებას, რომელიც გაიმართება მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზის ეივანზე კვირას, მკათათვის 2, საღამოს 7 საათზე.

კრების საგანი:

მოხსენება თბილისის საქალაქო არჩევნების შესახებ და კომიტეტის დამატებითი წევრების არჩევა.

2—756—1

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის 1-ლი უბნის კომიტეტი

ამით აუწყებს ამ უბანში მცხოვრებ პარტიის წევრთა და თანამოაზრეთა, რომ სამშაბათს, მკათათვის 4, ჩოხდება წევრთა და თანამოაზრეთა საზოგადო ყრილობა ქართულ გიმნაზიის შენობაში.

კრების საგანია: საქალაქო არჩევნებისათვის ჩვენი პლატფორმა და ხმოსნობისათვის შესაფერი კანდიდატების დასახელება.

კომიტეტი სთხოვს წევრთა და თანამოაზრეთ აუცილებლად დაესწრონ ამ კრებას.

საქარ. ეროვნულ-დემოკრ. პარტ. 1-ლი უბნის **კომიტეტი.**

ექიმი

მ. ი. ჯაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს შუადღე დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, ზღვისპირა ქ. № 1. (ტ.—202—)

ექიმი

მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ ლინიკის ორდინატორად ნამყოფი, **იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.**

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკებისა. **შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე გარდა ხუთშაბათისა. მიხეილის პრ. № 36, მეორე სართული.**

ექიმი

ე. ლ. შალამბერიძე

იღებს საბნებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მიხაილოვის: პეტროგრადის ქუჩა № 7.

ექიმი

მ. ვ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართია: ოლდას ქუჩა **№ 41,** ზემო სართული, **ტელ. 9—53.**

ექიმი

გ. გ. მუხაძე

იღებს ხადოხტაკრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-დე, კვირა დღეს გარდა **მისამართი:** დიდი მთავრის **ქუჩა № 67;** ოფიცერთა საეკონომიო **საზოგადოების** შენობის პირდაპირ; **სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.**

ექიმი კბილისა

ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა

იღებს ავადმყოფებს:

დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. **ჩერქეზიშვილის და რეუტოვის ქუჩის კუთხე № 20.**

დამფუძნებელი კრების არჩევნების საათვის.

მოსე ანთიმოზის ძე კალანდარიშვილი

შემფრინავი ექიმი თბ. კავკასიის კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს

მანგლისში

საკადეტო კორპუსის ბანაკში

თბილისი, მკათათვის 1.

დამფუძნებელი კრების არჩევნები საქართველოში

ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი, მასთან არსებული საეროვნო საბჭო, მუშათა და ჯარის-კაცთა სამეჭოები ქალაქის საარჩევნო კომიტეტი და პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები ამ ჟამად დამფუძნებელი კრების არჩევნების წესს ადგენენ ამიერ-კავკასიისათვის.

პეტროგრადის კომისია, პროფესორ კოკოშკინის თავმჯდომარეობით დამფუძნებელი კრების არჩევნების კანონს რომ ამზადებს, ამ საქმის თაობაზე თბილისის დემოკრატიულ ორგანოებს შეეკითხა, თუმცა თვით კოკოშკინის კომისიას აზრად აქვს მთელი ამიერ-კავკასია ერთ საარჩევნო ოლქად გამოცხადოს.

კოკოშკინის კომისიის დადგენილება საერთოდ შეეფერება თანამედროვე სახელმწიფო სამართალს, რომელიც სწორედ დიდ საარჩევნო ოლქებს აძლევს უპირატესობას, რადგან თანაბარი, პროპორციული არჩევნების წესით პატარა ჯგუფს ან პარტიასაც შეუძლია აქა-იქ გაბნეული ხმები შეაერთოს და თავისი ერთი წარმომადგენელი მაინც გაიყვანოს პარლამენტში. ამიტომ არის, რომ კოკოშკინის აზრი ყველაზე უფრო ჩვენ მეზობელ სომხებს ეჯაშნიკათ. ბაქოდან საგანგებოდ ჩამოსულმა ქრისტეფორე ვერმიშევამ მთელი ლექციაც-კი წაიკითხა ამიერ-კავკასიის ერთ ოლქად აღიარებისათვის; მიზეზი ცხადია: არცერთი ერის ბინადრობა არ არის ისე აბნეული კავკასიაში, როგორც სომხებისა, და სწორედ დაშნაკცაკანებს სჭირდებათ ამ ხმების ხელოვნურად შეკრება.

თავის-თავად წინააღმდეგი არავინ არის ამ სურვილისა. მაგრამ ერთია საქმეა სურვილი, და მეორე საქმეა განხორციელება.

ამიერ-კავკასია ფინლიანდია ხომ არ არის, რომ ასე იოლად ერთ საარჩევნო ოლქად გამოცხადდეს.

კერძოდ საქართველო იმოდენად განსხვავდება დანარჩენ ამიერ-კავკასიისაგან ბუნებით, მეურნეობით, ყოფა-ცხოვრებით, ზნე-ჩვეულებით და პოლიტიკური და ეროვნული ვითარებით, რომ მისი მოქცევა ერთ საარჩევნო ოლქში შირვანთან, ყარაბახთან, ადერბეიჯანთან ან სომხეთთან ყოველად მიუღებელი არის.

ჩვენ არ ვერჯვით ჩვენ მეზობელთა საქმეებში: თურქ-თათრებს და სომხებს, როგორც ენებოთ, ისე მოაწყონ თავიანთ მხარეში არჩევნები. მხოლოდ ჩვენ მოვითხოვთ, რომ საქართველო ერთეული, მთლიანი, როგორც თავისი ტერიტორიით, ისე თავისი ეროვნული პოლიტიკური უფლებებით, ცალკე იქმნას გამოყოფილი და მას ცალკედ მიეზომოს შესაფერი რიცხვი დეპუტატებისა.

დღეს თუ ხვალ საქართველოში პოლიტიკური თვითმართველობა—ავტონომია უნდა განხორციელდეს და დროა ამ ახლობელ და აუცილებელ პერსპექტივას ანგარიში გაუწიოთ ჩვენც და ჩვენმა დროებით მთავრობამაც.

დროა საქართველოს ერთეულის არსებობის ფაქტს გვერდი ავლარ აუხვიონ ხოლმე სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა გარდაწყვეტის დროს.

ქართული პრესა

დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის.

ქუთაისის გაზეთ „ჩვენი ქვეყანის“ 65 ნომერში ვასილ წერეთლის საყურადღებო წერილი არის დასტამბული შესახებ დამფუძნებელი კრების არჩევნებისა საქართველოში. პატივცემული ავტორი ამბობს:

კოკოშკინის კომისიამ რომელმაც რუსეთი საარჩევნო ერთეულებად დაანაწილა, ამიერ-კავკასია ერთს საარჩევნო ოლქად გადააქცია.

გაზეთები სწორ ცნობას არ გვაძლევენ, მთელ კავკასიას ეყოლება თუ მარტო ამიერ-კავკასიას 35 დეპუტატი დამფუძნებელ კრებაში.

დაღესტანი შეუერთდება თერგის ოლქს, შავი ზღვის გუბერნია ყუბანის ოლქსა და სტავროპოლის გუბერნიას, კავკასიის დანარჩენ გუბერნიები და ოლქები კი—ერთად იქნებიან.

ამომრჩევლები მისცემენ ხმებს პარტიულ სიებს. მიცემულ ხმათა რაოდენობანი თბილისში შეიკრიბებიან, დაითვლებიან და განაწილდებიან. და რომელ პარტიასაც მეტი ხმა მოუვა, მასვე მეტი დეპუტატი ერგება.

წარმოვიდგინოთ, რომ თურქებს ორჯერ მეტი ხმა მოუვიდათ ვიდრე ქართველებს, მაშინ მათ ორჯერ მეტი დეპუტატი ეყოლებათ.

მაგრამ, ცხადია, რომ ეს—დიდი უსამართლობაა. ჯერ ერთი, ამ ომში აუარებელი ქართველი, რომელსაც ხმა ჰქონდა, გაწყდა, ბევრი ტყვედ არის წაყვანილი და კიდევ უფრო ბევრი დასავლეთის ფრონტზეა გაბნეული. მაშასადამე, საქართველოს თითქმის ნახევარი თავისი ხმებისა ეკარგება.

მეორე, საქართველოში მოხუცთა და ქალთა გარდა სრულ წლოვანი ცოტაღა დარჩა, მოხუცთა და ქალთაგან კი რომელთაც მთელი საოჯახო მუშაობა აწევთ ზურგზე, ცოტა მივა საარჩევნო ყუთებთან.

მაშასადამე, საქართველოში საარჩევნო ხმა ცოტა დაითვლება, ამიერ-კავკასიის თურქები კი ამ ხმით გაცილებით უკეთეს პირობებში არიან.

ამგვარად კოკოშკინის კომისიამ ხელოვნურად შეამცირა საქართველოს წარმომადგენელთა რაოდენობა, ე. ი. არ მიანიჭა საქართველოს ის, რაც სამართლიანად ერგება.

მეორე უსამართლობა კიდევ ის არის, რომ, ხმები მხოლოდ პარტიებს შორის იქნება განაწილებული. ავიღოთ, მაგალითად, სოხუმის ოლქი.

ამიერ კავკასია რომ პატარა საარჩევნო რაიონებად ყოფილიყო დანაწილებული, უეჭველია, ამ ოლქსაც ეყოლებოდა დამფუძნებელ კრებაში ერთი დეპუტატი მაინც, რომელიც ადგილობრივ საჭიროებათა მოთხოვნილებათა შესახებ ხმას ამოიღებდა, სულ ერთია, რომელი პარტიისაც კი უნდა ყოფილიყო ის. დღეს კი, რასაკვირველია, ვერც სოხუმის ოლქი და ვერც მასზე უფრო დიდი საარჩევნო ერთეული დეპუტატს ვერ მიიღებს.

და, გფიქრობ, რომ მთელ საქართველოს სამ ან ოთხ დეპუტატზე მეტი არ შეხვდება.

ვისთვის არის სასარგებლო ამ გვარი საარჩევნო ცენტრალიზაცია?! სომხებისთვის და რუსებისთვის, რომელნიც ამიერ-კავკასიაში მიჯრით არა სცხოვრობენ, და თურქებისათვის, რომელთაც ყველა სრულწლოვანი მოქალაქე შინა ჰყავსთ.

დასასრულ პოლიტიკურ-ეკონომიური ცხოვრების პარტიულ ჩარჩოში აჩსმა და შეგიწროება განა შესაძლებელია? არა, ბატონებო, ცხოვრება რთულია და პარტიობის გარეშე იწერება! მაგალითად, მე, ქართველს ეროვნულ-დემოკრატს, მირჩევნია მყავდეს დამფუძნებელ კრებაში ქართველი სოციალ-დემოკრატი, ვიდრე სომეხი ან რუსი ეროვნულ-დემოკრატი.

და, ცხადია, პროპორციული არჩევნები მხოლოდ მაშინ იქნებოდა კარგი, თუ თვითეულს პატარა კუთხეს თავისი დეპუტატების არჩევის უფლება ექნებოდა.

ამგვარად, საქართველოს, საერთო სახელმწიფოებრივი საქმისათვის ამდენი მსხვერპლის შემწირველსა და სისხლისაგან დაცლილს, დამფუძნებელ კრებაშიაც კი ალარ უთმობენ შესაფერ ადგილს!

და, უეჭველია, ჩვენი ეროვნული შეგნება რომ კლასთა უკიდურეს ბროლას არ გაენელებინა, ჩვენს საცილოდ აგდებას არ მოვითმენდით და პეტროგრადის კანცელარიის მიერ შეთხზული წესით წარმოებულ არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებდით!

ასე გადაგვიხადის ამაგს!

ასე დაიფასეს ჩვენ გმირ-შვილთა მეერ დანთხეული ზღვა სისხლიო!!

ომიდა ზავი

დეპეშები

მთავარბანაკის ცნობა.

პეტროგრადი. თიბათვის 29. **დასავლეთი ფრონტი.** თიბათვის 28-რვას მტერს მთელ ფრონტზე ვავიწროვებდით. ცხარე ბრძოლის შემდეგ, მტერი იძულებულ ვყავით ქალაქი პაღუში (?) დაეცალა, რომელიც დაჟუოვნებლივ ჩვენმა ჯარმა დაიკავა. გრაბუვკა—რაზსულნა—კრივის ფრონტზე ქალაქ ბოგოროდჩას დასავლეთით მტერი ჩვენი ჯარის წინსვლას აჩერებს. დანარჩენ ფრონტზე საყურადღებო არა მომხდარა-რა.

რუმინეთისა და კავკასიის ფრონტი. უცვლელადაა.

ბალტიის ზღვა. თიბათვის 26. მტრის ჰიდრო-ჰეროპლანების რაზმები რენსბერგისა და ცერელის რაიონს სამჯერ დაესხნენ თავს. მათ მიერ ჩამოგდებულ 30 ყუმბარას ზარალი არ მოუყენებია.

ბალტიის ზღვა. თიბათვის 25 ს მტრის ცეპელინმა აღანდის შხერების სამხრეთ დასავლეთის კიდურზე გადაიარა.

საფრანგეთის ბანკის ცნობა.

პარიზი. თიბათვის 27. **ხაღამოს ოფიციალი.** ფერმა ფრუდმონის დასავლეთით მტრის მოულოდნელი თავდასხმა მოვიგერიეთ. მარონვილეს სიმაღლე „304"-სა და მორტომმის რაიონებში ორთავე მხრიდან საარტილერიო მოქმედება იყო. დანარჩენ ფრონტზე ხანგამოშვენებითი საარტილერიო ბრძოლაა.

პარიზი. თიბათვის 27. **ოფიციალი.** წუხელის სენ-ჟორჟას სამხრეთით მტრის შემოტევა მოვიგერიეთ. დილით მთელ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა იყო. შუადღისას ნიუპორიდან მოყოლებული დიკსმიუდეს სამხრეთ რაიონამდის საარტილერიო ბრძოლამ მკაცრი ხასიათი მიიღო. გერმანელების არტილერია ბელგეთის ჯარის ზურგსაც უშენდა ტყვიას. მოკლულ იქმნა რამდენიმე მშვიდობიანი მცხოვრები.

ახლო აღმოსავლეთი. ინგლისელების ჰეროპლანი პეტრიჩს ყუმბარას უშენდა. სტრუმის ფრონტზე პატრულებს შეტაკებები უხდებოდათ. მდინარე ცრნის მახლობლად ჩვენს ასპარეზს მტერი ზარბაზანს უშენდა.

პარიზი. თიბათვის 27. **ოფიციალი.** მდინარე ენის მახლობელ ფრონტზე მტრის არტილერიამ მოქმედება გააძლიერა. წისქვილ ლაფოს ჩრდილოეთით ჩვენს სანგრებზე მტრის თავდასხმა მოვიგერიეთ. იურტებიზთან ჩვენს ასპარეზს საღამოს 13 საათზე ძლავრად შემოუტია, მაგრამ დიდი ზარალიც მივაყენეთ და მარჯვენაც მოვიგერიეთ. ასევე კორბონის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კურტის ჩრდილოეთით და ტყე კარიერის რაიონში მტერს ზარალი მივაყენეთ და რამდენიმე ტყვეც წამოვიყვანეთ. ღამე სიწყნარე იყო.

ინგლისის ბანკის ცნობა.

ლონდონი. თიბათვის 27. **ოფიციალი.** ჩვენებმა ფესტიუპერის აღმოსავლეთით წინ წაიწიეს. იპრ-კომინის არხების სამხრეთით მტრის რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ.

ლონდონი. თიბათვის 27. **ოფიციალი.** გუშინ ვარნეტორის დასავლეთით მტერმა ერთი ჩვენი ბლინდაჟი დალანგანტის აღმოსავლეთით 5 სანგარი დაიჭირა. ბელდეკურის, იპრის და ნიუპორის რაიონებში მთელი დღე მტრის არტილერია მოქმედობდა.

ლონდონი. თიბათვის 28. **ხაღამოს ოფიციალი.** გუშინ საღამოს ნიუპორის ჩრდილოეთით ჩვენი ჯარი მტრის თხრილებში შეიჭრა და იქ მყოფ გერმანელებს დიდი ზარალი მიყენა. მონში-ლე-პრე აღმოსავლეთით და აფრ-კურის სამხრეთ აღმოსავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ. მთელი დღის განმავლობაში მტრის არტილერია მხნეთ უშენდა ზარბაზნებს ზღვის ნაპირებთან მდებარე ჩვენს პოზიციებს. საღამოს ზარბაზნების სროლა უმაღლესად გაძლიერდა. ჩვენი არტილერიც ენერგიულად უპასუხებდა. ცუდმა ამინდმა ხელი შეუშალა საჰაერო ბრძოლას.

იუნკრები ფრონტზე.

კიევი. თიბათვის 26. პარკოვისის შემდეგ დიდის დღესასწაულით გაისტუმრეს ფრონტისკენ იუნკრების ორი როტა.

ეშელონები საბრძოლველად არ გავიდნენ.

კიევი. თიბათვის 26. უკრაინელ ეშელონებმა—(ჰეტმან-პოლუბოტკოს სახელის პოლკი) აუარი განაცხადეს ბრძოლად გასვლაზე. ამის გამო უკრაინელთა ხმელნიცკის 1-ლ პოლკმა მიღებულ რეზოლუციით მეტად გაჰკიცხა ისინი. ესენი უცხადებენ ეშელონებს, რომ თქვენ ჩვენს ძმებად აღარ ჩაგთვლით და არც აღარაფერ დახმარებას აღმოგიჩენთო.

ინგლისელ-პორტუგალელთა ჯარი ერთდება.

პარიზი. თიბათვის 27. მტკნიდან გამოსული ინგლისელთა რაზმი მაგუერიდან გამოსულ პორტუგალელთა რაზმს შეუერთდა. გერმანელებმა მაკუმმოში თხრილები გაიკეთეს.

„ალედიენ".

პარიზი. თიბათვის 26. თიბათვის 17 ხმელთაშუა ზღვაში ჩაძირულ „ალედიენ"-იდან 380 სული გადაარჩინეს.

„ზეელანდ"-ი.

ლონდონი. თიბათვის 27. საადმირალო იუწყება: ნავთსადგურ ლაფუსტოფის უფროსის ცნობით, შეიარაღებულ კატორღა „ზეელანდ"-მა გუშინ გერმანელების 2 ჰეროპლანი შემუსრა და 4 ტყვე მოიყვანა.

სამხედრო მინისტრის ბრძანების წინააღმდეგ.

პეტროგრადი. თიბათვის 27. პეტროგრადის მუშ. და ჯარ. დეპ. საბჭოს სექციამ, წინააღმდეგ სამხედრო მინისტრის ბრძანებისა სოფლებში მინდვრის სამუშაოდ ჯარისკაცების დათხოვნის შესახებ, გადასწყვიტა რომ ცხვა და ცხვა ნაწილების 10 პროცენტი მაინც გაუშვას სახლში.

დროებითი სამხედრო სახამართლოები.

კიევი. თიბათვის 27. კიევში, ჟიტომირში და ვინნიცაში დაარსეს სანგანგებო დროებითი სამხედრო სასამართლოები. გაქცეულთა და თავის დროზე სამსახურში არ გამოცხადებულ სამხედრო პირთათვის.

მინსკი. თიბათვის 27. ტყვე სლავიანების მიტინგმა ცალკე დრუჟინის შედგენის და ფრონტზე გაგზავნის შუამდგომლობა აღძრა.

მტრის ჰეროპლანები.

პეტროგრადი. თიბათვის 27. ამერიკელ ამირბარმა გლენენმა რიგის ქარხანა ინახულა: დათვალიერა გემები და სანაპირო სიმაგრეები. გლენენის ეზელში ყოფნის დროს მტრის 7 ჰიდროპლანმა 26 ყუმბარა ჩამოყარა ქალაქში. ზარალი არ ყოფილა.

ჰინდერბურგის განცხადება.

სტოკჰოლმი. თიბათვის 20. ვოლფის სააგენტო ოფიციალად იტყობინება: დღევანდელ მდგომარეობის შესახებ ჰინდერბურგმა შემდეგი გამოსთქვა: ომს უეათოდ მოვიგებთ, თუ შევძლებთ იერიშების მოგერიებას, სანამ წყალქვეშა თავისს საქმეს დაასრულებდეს. ჩვენი წყალქვეშები მტერს დიდათ აზიანებენ, ახლო მომავალში მტერი ზავით მოგვმართავს. ეს მათაც უწყიან და მიუხედავათ ტიროლის, ახონცოს, არსის და სხ. ჭრილობებისა, იგი კვლავ განაგრძობს თავის უმედო შეტევას. ამერიკის იმედი მას აღარ უნდა ჰქონდეს. დღე გაგრძელოს ომი, სანამ არ ეცოდინება, რომ ომი ჩვენ მიერ არის მოგებული. მაშინ ავსტრო-ჰუნგრეთი, გერმანეთი, ბულგარეთი და ოსმალეთი მიიღებენ იმ ზავს, რომელიც მათ თვის დიდს სპეციალობას შეადგენს. მტერმა წინადვე ვერ გათვალისწინა ჩვენი ძალა. მას ეგონა რომ უმრავლესობით გვჭლეფდა და მით ჩაქრობდა ჩვენი შვილების ცისკარს. მე მსურს, მტერიც ისე იცნობდეს ავსტრო-ჰუნგრეთის მდგომარეობას, როგორც მე გავეცანი, და მაშინ უკან წაიღებდნენ თავის განზრახვას. ავსტრო-ჰუნგრეთიდან იმ შთაბეჭდილებით წამოველი, რომ გამარჯვება უეათოდ ჩვენი იქნება. გერმანეთის ხალხი ავსტრო-ჰუნგრეთთან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებს...

გალიჩის აღება

მთავარ ბანკის ცნობა.

პეტროგრადი. თიბათვის 28. დოლინის მიმართულება. იეზუპოლ-სტანისლავოვ-ბოგოროდჩანის ფრონტით გენერალ კორნილოვის ჯარმა საგრძნობლად დაამარცხა მტერი. მტერმა სამხრეთ-დასავლეთისკენ დაიხია. დღის 12 საათზე ჩვენმისინოვის ხელმძღვანელობით ჩვენმა ძლევამოსილმა ჯარმა ქალაქი გალიჩი აიღო და მოწინავენი დნესტრის მარცხენა ნაპირზე გადახსნა. საღამოს ჩვენმა ჯარმა მდინარე ლომნიცის ღელეს მიაღწია. ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ ლომნიცის მარცხენა მხარეზე ჩვენებმა სოფ. ბლუდნიკი და ბაბინა დაიჭირეს. ბოგოროდჩან-ზოლოტვინის ფრონტის ჯარმა მასჩელოსოვკა-კოსმაჩის ადგილებს მიაღწია. დღის ბრძოლაში ხელთ ვიგდეთ 30 მძიმე ზარბაზანი და 2000 ტყვე. თიბათვის 25—27-მდე დოლინის მიმართულებით ხელთ ვიგდეთ 80 მძიმე ზარბაზანი, 150 მეტი აფიცარი 10.000 ჯარისკაცი, რამდენიმე წყება სანგრები ზარბაზნებით, ტყიისმფრქვეველებით და საომარ მასალებით. დანარჩენ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა. ბრზეზანისა და ზოლოჩევკის მიმართულებით ბრძოლას მკაცრი ხასიათი აქვს.

ლონდონის აკლება

თავდასხმის შედეგი

ლონდონი. თიბათვის 27. გამოირკვა შაბათის საჰაერო თავდასხმის მსხვერპლთა რიცხვი: დახოცილია 330 კაცი, 8 დედაკაცი და 5 ბავშვი. დაჭრილია 98 კაცი 46 დედაკაცი და 53 ბავშვი. ტაუერ-გოლლეში სახალხო მიტინგმა მიღებულ რეზოლიუციით რეპრესიები მოითხოვა. ოფიციალად იუწყებიან: კარ-დაკეტილ ხმდომაზე ლლოიდ ჯორჯს განუცხადებია, რომ ხალხს სრულიად უშიშრო მდგომარეობას ვერ მოვუპოვებთო. მთავრობის უმთავრესი ზრუნვა იმაში უნდა გამოიხატებოდესო რომ საფრანგეთსა და ჩვენს იქ მყოფ ლაშქარს მეტი ჰაერო-პლანები მივაშველოთო.

რევოლუცია

დეპეშები

მთავრობის დადგენილება ჯარისკაცების უქორწინო ცოლ-შვილის შესახებ

პეტროგრადი. თიბათვის 26. ჯარისკაცებთან უქორწინოდ შვილებიანი ცოლები და აგრეთვე ფუხმძიმენი, კანონიერ ოჯახებივით პაიკებს იღებენ. უშვილო უქოწინოები პაეკს მიიღებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაწვეულ ჯარისკაცთან ერთი წელიწადი მაინც უცხოვრია. უქორწინო ოჯახებს პაიკების მიღება საგანგებო დაწესებულებაში წერილობითი შუამდგომლობის აღძვრით შეუძლიანთ. ჯარისკაცების დედები, ძმები და დები თუ მის შესანახები იყვნენ, პაიკით სარგებლობენ. პაიკით სარგებლობენ აგრეთვე ომში გაწვევამდის ჯარისკაცის შვილები. დადგენილება მოქმედებაში შედის 1917 წლ. თიბათვის 1-დან.

პროფესორის არჩევის ახალი წესრიგი

პეტროგრადი. თიბათვის 26. დროებით მთავრობამ უკვე დაამტკიცა სახალხო განათლების სამინისტროს მიერ წარდგენილი ახალი წეს-რიგი პროფესორების არჩევისა. იმ პირთ, რომელთაც პროფესორის თანამდებობა ჰსურთ, უნდა განცხადება წარუდგინონ ფაკულტეტის დეკანს, რომლის წევრებსაც (აგრეთვე უმაღლეს სასწავლებლის და აკადემიის) შეუძლიანთ თვისი კანდიდატები წარადგინონ. უკანასკნელთ კენჭს უყრიან. ამორჩეულ პირს სახალხო განათლების მინისტრი დაამტკიცებს. თუ დასახელებული პირი არ დაამტკიცეს თანამდებობაზე, საჭიროა ორი თვით ადრე დანიშნულ ვადამდე ეცნობოს განმარტება. უპასუხობა ნიშნავს დამტკიცებას თანამდებობაზე. აუორჩეველი პროფესორი ორი წლის შემდეგ შტატიდან ირიცხება, მაგრამ სურვილისამებრ შეუძლია ლექციები იკითხოს და წოდებაც კვლავ შეინარჩუნოს. წლიური საათის ნაკლებ პრივატ-დოცენტისთვის, რომელიც განსაზღვრება ფაკულტეტების და საბჭოს მიერ არ უნდა აღემატებოდეს 600 მ. უშტატო პროფესორები 2400 მ. მეტს არ იღებენ.

მტრის მიერ დაპყრობილ ადგილებში დაბრუნების უფლება

პეტროგრადი. თიბათვის 27. შინაგან საქმეთა მინისტრმა, კერენსკისთან მოლაპარაკების შემდეგ, მსურველებს მტრის მიერ დაჭერილ ადგილებში დაბრუნების ნება მისცა. მხოლოდ მათ ომის შემდეგ რუსეთში დაბრუნების ნებას აღარ მისცემენ.

გლეხები მიწას იტაცებენ

მინსკი. თიბათვის 26. სოფლის საზოგადოებათა კომიტეტების ნებართვით ალაგ-ალაგ გლეხები მებატონეების მიწებს ინაწილებენ. საერთოდ გლეხები მეტად თავისუფლად იქცევიან: სჩეხავენ ტყეებს, ისაკუთრებენ საძოვრებს, აძევებენ თანამდებობიდან სხვა და სხვა პირებს და სხვ.

გლეხთა სადეპუტატოების აღმასრულებელ კომიტეტის მოწოდება

პეტროგრადი. თიბათვის 27. სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა ყველა მშრომელ გლეხს მოწოდებით მიჰმართა. აღმასრულებელ კომიტეტს სრულიად რუსეთის გლეხთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის განზრახვა, მოსკოვში მკათათვის 31 გლეხთა ყრილობის მოწვევის შესახებ, მეტად მავნებლად მიაჩნია, რადგან იგი განხეთქილებას ჩამოაგდებს გლეხებს შორის. ამიტომ მათი მოწოდება სთხოვს ყველას, რომ უარი განაცხადონ მონაწილეობის მიღებაზე დამფუძნებელ კრების მოახლოვების გამო. გლეხთა დეპუტატების საბჭოს ერთ ორგანიზაციას გაუერთდნენ და შეემზადნენ მარიამობისთვეში პეტროგრადს დანიშნულ სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების მეორე სერიისათვის.

„წითელი ჯვრის" წარმომადგენლების ყრილობა.

პეტროგრადი. თიბათვის 27. დაიწყო წითელ ჯვრის ფრონტისა და ზურგის დაწესებულებათა წარმომადგენლების ყრილობა. საორგანიზაციო კომისიის თმჯდომარემ პროფესორმა იგნატიევსკიმ, კრების დაწყებისას ყველას სამშობლოს საკეთილდღეოდ მეგობრული და ნაყოფიერი შრომა სთხოვა. დროებითი მთავრობისა და სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის სახელით ყრილობას სახელმწიფო სათათბიროს წევრი ვედენოვი მიესალმა. ექიმმა მაგუტამ, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სახელით მისალმებაში, იმედი გამოსთქვა, რომ წითელი ჯვარი სამხედრო მოქმედების განახლებაში თავის დანიშნულებას პირნათლად ასრულებსო.

ხორბალი

მინსკი. თიბათვის 26. შენახულ ხორბლის აღწერა მეტად გაძნელდა. გლეხები მალავენ. ხორბლის ფარულად გაყიდვის ასაკრძალავად ყველა წის ქვეშევრებს კონტროლი დაუწესეს.

ლოტოს აკრძალვა

პეტროგრადი. თიბათვის 27. აღგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულებით ლოტოს თამაშობა აღკრძალულია.

ყრდლო-კავკასია და თურქესტანის ორი საარჩევნო ოლქი

პეტროგრადი. თიბათვის 27. დამფუძნებელ ყრილობისათვის დადგენილია—ერთ ოლქად იქმნას გაერთიანებული ჩრდილო-კავკასია. გადაწყვეტილია თურქესტანის ერთ საარჩევნო ოლქად აღიარება: სამარყანდისა, სემირეჩინისა, ფერგანისა და სირდარიისა.

ერთი საათით წინ

პეტროგრადი. თიბათვის 28. დროებით მთავრობის დადგენილებით მკათათვის 1-იდან მარიამობისთვის 1-მდე საათის ისარი ერთი საათით წაწეული იქნება.

თავისუფლების სესხი და ნაფიც ვეჭილთა საბჭო.

მოსკოვი. თიბათვის 27. მოსკოვის ოლქის ნაფიც ვეჭილთა საბჭომ დაადგინა მონაწილეობა მიიღოს თავისუფლების სესხის ხელის მოწერაში.

საგუბერნიო სასურსათო კომიტეტების ყრილობის დასრულება.

პეტროგრადი. თიბათვის 27. საგუბერნიო სასურსათო კომიტეტების ყრილობა, რომელსაც მიზნად ჰქონდა დასახული ლაშქრის და მცხოვრებთა სურსათით უზრუნველყოფა—უკვე დასრულდა. მიღებულია შესაფერი ზომები.

სახელმწიფო სათათბიროს წევრთა კერძო ყრილობა

პეტროგრადი. თიბათვის 28. მ. ვ. როძიანკოს თავმჯდომარეობით შეხდგა სახელმწიფო სათათბიროს წევრთა კერძო სხდომა. სხდომაზე გაირჩა ფინანსიური და ეკონომიური მდგომარეობა. დიდის მოხსენებით გამოვიდა **ბუბლიკოვი**, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთი ძველის ვალებით ჩაება ომის ფერხულში და გაუმარჯვებლად არ უნდა გამოვიდესო. მდგომარეობა ფერხდება ჯერ-ჯერობით რკინის გზების უქონლობით და სამრეწველო საგანთა შემცირებით. ბუბლიკოვი ამბობს: ჯერ არაა გამორკვეული, თუ რამ უნდა დაჰფაროს 12—14 მილიარდი! თუ განზრახული გვაქვს იგი ქალაქების გამოშვებით, ამით უფრო ხელს შეუწყობთ სიძვირის ზრდას. **ლგოვმა** ისაუბრა სოფლის უწყვეტ მდგომარეობის შესახებ. მან განაცხადა, რომ სოფლის კომიტეტები პარტიულ ორგანიზაციებს წარმოადგენსო. ჩვენ ადრევე მივიწვიეთ სიდამბლისაკენ! **როძიანკო** დიდად წინააღმდეგია მიწების თავვნებობით განაწილებისა, ვინაიდან ეს კერძო მესაკუთრეების ზარალი კი არ არის მხოლოდ, არამედ ამით სახელმწიფოს ინტერესები ილუპება. როძიანკოს მხედველობაში აქვს მიწის სამმართველო კომიტეტებში გადაცემის კანონ-პროექტების მე-4 მუხლი. როძიანკო წინადადებას აძლევს, რათა ეს ზომები არ იქმნას გატარებული.

რუსეთის რევოლუცია

ლონდონი. თიბათვის 28. პროფესორ ვინოგრადოვმა წაიკითხა ლექცია რუსულ რევოლუციის პროგრესის შესახებ და თვალსაჩინოდ ჰყო, რომ რევოლუციის გამარჯვება უკვე დამყარებულია.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საგზოთა კრილება

პეტროგრადი. თიბათვის 24. ჟანდარმები და პოლიციელები დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნონ მოწინავე პოზიციებზე. იმათ ქალალდებში უნდა იყოს აღნიშნული, რომ ისინი პოლიციაში და ჟანდარმერიაში მსახურებდენ. პირველ ხანებში მათ არავითარი წინამძღვარობა არ უნდა მიენდოთ. მილიციაში მსახურება არ უნდა ანთავისუფლებდეს მოსამსახურეთ სამხედრო ბეჯარისაგან. ამას გარდა ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია რუს-ტყვეების ტვირთის შესამსუბუქებლად.

დელეგატ **ვაინშტეინის** წინადადებით ყრილობამ დაადგინა, რომ ცენტრალმა კომიტეტმა სგგანგებო მოწვედებით მიჰმართოს სახელმწიფოს მცხოვრებლებს, რომ მხარი დაუჭირონ თავისუფლების საქმეს.

ფინეთის შესახებ. მოხსენება წაიკითხა **გეგეჭკორმა** ფინეთში მოგზაურობის გამო. დელეგაცია ფინეთში გაგზავნა იმ მოსაზრებით, რომ სესხი აელოთ ფინეთისაგან რუსეთისთვის. გეგეჭკორმა განაცხადა, რომ მოლაპარაკებას არავითარი ოფიციალი ხასიათი არ ჰქონებია, ამასთანავე ისიც დაუმატა, რომ ფინელებმა გადაჭრილი პასუხი არ მოგვცესო, თუმცა შეგვპირდენ პეტროგრადში გაგზავნიგზავნითო. გეგეჭკორი იმედოვნებს, რომ საკითხი ჩვენდა სასარგებლოდ იქნება გადაჭრილი, ვინაიდან ფინეთის და რუსეთის დემოკრატიის ინტერესები ერთიმეორეს ეთანხმებიანო.

დამფუძნებელი კრების შესახებ ილაპარაკა **წერეთელმა.** დამფუძნებელი კრების გარდაწყვეტილების წინაშე ყველამ ქედი უნდა მოიხაროსო. მხოლოდ ამითი შეიძლება რევოლიუციის გამარჯვება უზრუნველყოთო. რევოლიუციის გამარჯვება კი დემოკრატიას საშუალებას მისცემს, რომ მთელი მიწა მის ხელში გადავიდეს, ამას გარდა ეს გამარჯვება რესპუბლიკის ფორმას განამტკიცებს და საშუალებას მოგვცემს, რომ სოციალური კანონები შევიმუშავოთო.

წერეთლის შემდეგ ილაპარაკა **შრომის** მინისტრმა **სკობელევმა,** რომელმაც განაცხადა: წარსულმა ვერ შეგვაშინა და ჩვენ შევუდექით ახალი ცხოვრების გაბმკიცებას. ჩვენ ძლიერნი ვართ თქვენით. მხოლოდ თქვენი თანხმობით ჩვენ შეგვლებთ ჩვენი მოვალეობის შესრულებას.

შემდეგ ილაპარაკა **ლორთქიფანიძემ,** მან განაცხადა: ვიხმე დავიმლებოდეთ საჭიროა სალამი ვუძღვნათ პეტროგრადის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოს, ვინაიდან ეს საბჭო გამოხატავდა დემოკრატიის სულის კვეთებასაო. ამიტომ სალამი უძღვნათ ჩხეიძეს და მასთან ერთად პეტროგრადის გარნიზონსაო. (მხურვალე ტაშის ცემა).

ჩხეიძემ განაცხადა, რომ ხალხის ნდობა ჩვენდამი თავდები იყო, რომ ჩვენი გარდაწყვეტილებანი ხმოლოდ სიტყვებად არ დარჩენილიყო. ჩხეიძემ თავისი სიტყვები შემდეგით დაამთავრა:—გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას, გაუმარჯოს საყვარელ რუსეთს, ძირს ომი, გაუმარჯოს ხალხთა ზავს, გაუმარჯოს პროლეტარების სოლიდარობას და გაუმარჯოს ინტერნაციონალიზმს". ყრილობა ნაშუადღევის 3 ნახევარ საათზე გათავდა. ხოროშ დაშლის წინ მარსელიოზა იმღერა.

პეტროგრადის პრესის აზრი

პეტროგრადი. თიბათვის 26. მუშ. და ჯარ. დეპ. საბჭოს ყრილობის საქმეების დათავებისას პეტროგრადის პრესამ საერთოდ თანაგრძნობა გამოთქვა. ხმოლოდ „ნოვაია ჟიზნ"-ი სწერს, რომ ყრილობის შედეგები მეტად დამაუკმაყოფილებელნი გამოვიდნენო. „რუსკაია ვოლია" მეტად დიდ ყურადღებას აქცევს ყრილობისაგან ომის შესახებ გამოტანილ რეზოლუციას. „დენი" განსაკუთრებით მეტ ყურადღებას აქცევს ყრილობის მთავრობასთან დამოკიდებულებას. საერთო შედეგი ყრილობისა—დროებით მთავრობის გამაგრება—მეტად მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოსო. გაზეთი დეპუტატთა საბჭოს ცენტრალ-აღმასრულებელ კომიტეტის დაარსებას სალამს უძღვნის. „რაბ. გაზ." აზრით, ყრილობისაგან შემუშავებული ყოფაქცევის წესრიგი დამფუძნებელ კრებამდის ხელმძღვანელად უნდა ვიქონიოთო.

შრომის მინისტრის მიმართვა მუშებისადმი

პეტროგრადი. თიბათვის 27. ამხანაგო მუშებო! მოგმართავთ თქვენ რევოლუციის ასეთ გაჭირვებულ დროს! მეტის სისწრაფით ეცემა ქარხნებში მუშაობა. ნაკლებად მზადდება საჭირო საგნები. გლეხებს სამრეწველო ნაწარმოები აკლიათ. ნავთობის ნაკლებობა მოელის. ტრანსპორტის გაუვარგისებამ თავის მიზნად ძველ რეჟიმის მიერ სახალხო მეურნეობის დაცემულ საქმის გამოკეთება დაისახა. რევოლუციის ავტორიტეტულ უფლებამ სახალხო მეურნეობა სახელმწიფო კანტროლს დაუმორჩილა. მრეწველობის ხელმძღვანელი ადგილობრივი ორგანოები მშრომელ კლასების ფართე წარმომადგენლობითი ნიადაგზე იქმნებიან. ასეთ ნიადაგზევე აშენდება, სურსათის მიმწვდელი საარაიონო კომიტეტები. მოქმედებას იწყებს მთავარი საეკონომიო კომიტეტი. იგი მეურნეობის ყველა დარგში ჩაერევა და კეთილს გზაზედ დააყენებს. საეკონომიო კომიტეტი მხოლოდ მაშინ გაძღვება თავის მეტად ძველ დანიშნულებას, თუ თქვენც, ამხანაგო მუშებო! მხარს დაუჭერთ. თქვენი შრომა—ეს ხომ საფუძველია ხალხის სიმდიდრისა. მოაკრიბეთ ძალა, რომ რაც შეიძლება მალე გამოაკეთოთ ათასი ავადმყოფი ორთქლმავალი და დაზიანებული ვაგონები, რომ რაც შეიძლება მეტი ნაშხირი, ლითონი და სხვა საჭირო საგნები მოუპოვოთ მცხოვრებლებს. თქვენ მართალნი იყავით როდესაც, ძველ მთავრობის დროს, თქვენს ეკონომიურს მდგომარეობაზე ხმას იმაღლებდით, თქვენ მართალნი იყავით იმ აღელვებით, რომ ომის დროს შემძღვე კლასები მხოლოდ სიმდიდრეს იძენდნენ. მეფის მთავრობამ გაჰფლანგა არა ერთი თუ ორი მილიონი ხალხის ფული. რევოლუციის მთავრობა მას სახალხო ხაზინას დაუბრუნებს. უკვე გამოიცა კანონები, რომელთა ძალით დიდ შემოსავალს და სამხედრო მოგებათ გადასახადი ეყვალებათ. რევოლუციის ფინანსების საკეთილდღეოდ საჭიროა ხალხის სიმდიდრის დაზოგვით ხმარება.

რევოლუციით განთავისუფლებულ მშრომელ კლასს, თავის კლასურ სოლიდარობით და გაერთიანებულ ძალით შეუძლიან თავის ინტერესების მტკიცედ დაცვა. შრომის მინისტრის მიერ შეუშავებული კანონი თავისუფლად გაფიცვების შესახებ თქვენ სრულს თავისუფლებას განიჭებთ კლასობრივ ბრძოლისათვის. პროფესიონალი კავშირები ამ თქვენს ბრძოლას შეგნებით ხასიათს მისცემენ; ისინი ყოველ მხრივ ასწონენ ეკონომიურ კრიზისის პირობებს და მათ მშრომელ მასების ეკონომიურ მოძრაობის ტაქტიკას შეუფერებენ. ეხლა კი მშრომელ მასსების სტიქიური გამოსვლები წრეს გადასცილდნენ. თქვენ ხანდისხან ისეთ ფასების მომატებას თხოულობთ, რაც მრეწველობასაც აფერხებს და ხაზინასაც აღარიბებს. ხშირად მუშები, პროფესიონალურ კავშირების წინააღმდეგ, პირდაპირ უარს აცხადებენ მეპატრონეებთან ყოველივე მოლაპარაკებაზე და ძალითაც იძულებიან. ორგანიზაციის სრულ თავისუფლებასთან ეშრომელთა ინტერესების დაცვა ამ გზით, შეგნებულ მუშებისათვის მიუღებელი უნდა იყოს. როდესაც ასეთ გზით რკინის გზებს ემუქრებით, თქვენი მუქარა პირდაპირ რევოლუციის დამდუპველ მუქარის სახეს იღებს. არც თუ ისეთი მოქმედება შეეფერება რევოლუციონურ დემოკრატიას, როგორიც არის მაგალითად, თავიანთ ნებაზე მოხელე მოსამსახურეების გადაყენება და საკრედწველო დაწესებულებათა ხელში ჩაგდებისათვის ბრძოლა. მართალია ძველ რეჟიმის დროს თქვენ ბევრი ნაღველი ჩაგიგუბეთ გულში, მაგრამ ხალხის მახვერპლით მოპოვებულ თავისუფლების გაფუჭებასაც გვმართებს. რევოლუციის მტრებს ღიმილი უკრთით, ჰხედავენ რა, რომ საქმის წარმოება უკან უკან მიდის. მათ სიხარულს მატებთ ის გარემოებაც რომ ჩვენ ქარხნებში თქვენ უცხოელებს ჰხედავთ. მოქალაქენო! შრომის მინისტრი დარწმუნებით მოითხოვს, რომ მუშებსა და სამრეწველო დაწესებულებათა პატრონებისა და აგრეთვე ყოველივე უთანხმოება მუშათა და მოსამსახურეთა შორის სამედიატორო სასამართლოს შემრიგებელ კამერებში ირჩეოდეს. სხვა და სხვა ქარხნებისა და ფაბრიკების ხელში ჩადგება, არამედ უმაღლესი ორგანიზაცია მეურნეობისა ხალხის შეგნება და სამშობლოს ძალების პროპორციონალური ზრდა მიგვიყვანს ჩვენ სოციალისტურ იდეალამდის. რევოლუციის ინტერესები მოითხოვენ, რომ ყველა, საქმის მაწარმოებელნი თუ მუშები, ხელმძღვანელნი თუ აღმასრულებელნი თავთავის მოვალეობას ასრულებდეს სამშობლოს წინაშე. აი ხმოლოდ მაშინ შესძლებს დროებითი მთავრობა სამეურნეო საქმის გამოკეთებას.—აი ხმოლოდ მაშინ თქვენ ფაბრიკებზე არ დაჰკეტავენ პატრონები სხვა და სხვა დაწესებულებებს, მხოლოდ მაშინ წავა მრეწველობის საქმე სანატრელ გზით, იმ გზით რომელსაც მომენტის საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როება უპასუხებს. მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ როგორც ამ გზის გამორჩევაში, ისე საქმის განხორციელებაში როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ.

მხარი დაუჭირეთ თქვენს წარმომადგენლებს, და საერთო ძალით შევსძლებთ სიხალხო მეურნეობის საქმის გამოკეთებას. ამხანაგო — მუშებო! თქვენ, ალბად, ის გარემოება გაღელვებთ, რომ ომის შემდეგ შესაძლოა თქვენს ქარხნებში მუშაობა შესწყდეს. მართლაც ხშირი მრეწველობა, დღითი-დღე ათასობით მუშებს სტოვებს ქუჩებში უსაქმოდ, შრომის სამინისტრო მთელ თავის ძალ-ღონეს იმას შეალევს, რომ შეძლებისდაგვარად ეს მძიმე პროცესსი შეასუბუქოს. შრომის სამინისტრო მომავალ საქმის წარმოებათა გეგმის შემუშავებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს. იგი შეჰქმნის სრულიად რუსეთის შრომის ბირჟათა ბადეს უსამუშაოდ დარჩენილთა სარეგისტრაციოდ და მათთვის საქმეების თანაბრად დასანაწილებლად. ჯერ ეხლავე გვჭირდება მრავალი მუშა ხელი რკინის გზებზე, საჭიროა ასათასობით მუშა მოსავლის შესაკრებად. შემდეგში ხომ სახელმწიფო და სამოქალაქო სამუშაოც ბევრი გამოჩნდება. შრომის მინისტრი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ ტყვეები და ჯარის კაცნი იქ არ იქმნენ მიღებულნი სამუშაოდ სადაც თქვენ იქნებით. ბავშვებსაც აიკრძალებათ შრომა. თქვენ გაგიადვილებენ ერთ ადგილიდან მეორეზე გადასვლას. სამინისტროს ამ დროს ავადმყოფობისა და უბედურ შემთხვევათაგან სოციალისტურ თავის დაზღვევების რეფორმას, იმუშავებს ისეთ კანონებს, რომელნიც უზრუნველჰყოფთ თქვენ სიბერის, ინვალიდობის და უმუშევრობის დროს.

რათქმა უნდა ეკონომიური დაცემა, რომელიც თან სდევს ომიდან ზავზე გადასვლას, კვალს დაჩენს ცხოვრებას. ისტორიულ კრიზისს მძიმე შედეგებს მხოლოდ მშრომელ კლასის სრული ორგანიზაცია და სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა გამოაკეთებს. ხოლო შრომის მინისტრის გადაწყვეტილებანი მაშინ განხორციელდებიან, როდესაც მთელი თქვენის ძალღონით ეცდებით მათ მხრის დაჭერას.

ამხანაგებო — მუშებო! გახსოვდეთ არა მარტო თქვენი უფლებანი, არამედ თქვენი მოვალეობანიც, არა მარტო თქვენი სურვილები, არამედ მათ განხორციელების შესაძლებლობა. არა მარტო თქვენი კეთილდღეობა, არამედ ის მსხვერპლიც, რაც ასე საჭიროა რევოლუციის განსამტკიცებლად და ჩვენ საბოლოვო იდეალების სადღესასწაულოდ.

მიწის გაუქმების აპრძალვა

პეტროგრადი. თიბათვის 26. მიწად-მოქმედების და იუსტიციის მინისტრმა დროებითს მთავრობას გადასცეს შემდეგი კანონ პროექტი; დამფუძნებელ კრებას რომ შეძლება მიეცეს სათადარიგო მიწების საჭიროებისამებრ დანაწილებისათვის დროებითი მთავრობას გამოაქვს შემდეგი დადგენილება: ამ წლის პირველ მარტს შემდეგ მიწებზე და ტყეებზე შედგენილი აქტები 1) საქმეში მონაწილეთა ურთიერთშორის თანხმობით, 2) სხვებზე გადასული მიწები და ტყეები იძულებითი გაყიდვით (საჯარო ვაჭრობით), 3) გირავნობითი წესით, 4) მემკვიდრეობით ან ჩუქებით და სხ. რჩებიან ძალაში მიწის საკითხის გადაწყვეტის დროსაც. შეჩერებულ იქმნას ამიერ ყოველივე ნასყიდობის, გირავნობის და სხვა ამგვარ აქტების შედგენა, გარდა იმ შემთხვევებისა როცა მიწასა და ტყის ერთისაგან მეორეზე გადასვლის საქმეს გადასწყვეტს ადგილობრივი საგუბერნიო საადგილ-მამულო კომიტეტები და დაამტკიცებს მიწადმოქმედების მინისტრი. ამ განკარგულებამ არ უნდა დააბრკოლოს მიწებსა და ტყეებზე წინათ შესრულებულ ნასყიდობების (აქტების) დამტკიცება, აგრეთვე დამტკიცება იმ საჯარო ვაჭრობებისა მიწებსა და ტყეებზე, რაც მოხდა ამ განკარგულებამდე დასაკმაყოფილებლად სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტებისა ან სახელმწიფო ქონების გამგეობათა. ამ შემთხვევაში მიმდინარე გადასახადი უნდა გადავიდეს სახელმწიფოზე.

ერთანული საკითხი

უკრაინელთა ჯარი და რადას ავტორიტეტები

სივაშკოპოლი. თიბათვის 25. უკრაინელთა ბატალიონმა, ცენტრალ რადის კომისრისაგან მრძანების მიუღებლად, მრძოლაში ქვეითა რაზმის გაგზავნაზე უარი განაცხადა.

უკრაინულ ჯარის მოწყობის საქმე

პოლტავა. თიბათვის 26. ალმოსავლეთ გუბერნიებიდან მოვიდა 4000 ჯარის კაცი აფიცერთა შემადგენლობით. უკრაინულ ჯარის მოსაწყობად უკრაინელები მათს დიდის დღესასწაულით შეეგებნენ. პოლტავის გამარჯვების ძეგლთან გაიმართა მიტინგი, რომელზედაც გამოქვეყნეს მ. და ჯ. დეპუტატების და ყველა სოციალისტურ პარტიების დადგენილებით უკრაინის რადის უნივერსალთან შეერთების გამო. ცენტრალ რადას დეპეშა გაუგზავნეს, რომელშიც ყოველგვარ შესწორებას ჰპირდებიან.

უკრაინელთა სამაზრო ყრილობა.

ოსტერი. თიბათვის 27. დასრულდა უკრაინულ მაზრის ყრილობა. ყრილობა მიღებულ რეზოლუციით რუსეთისათვის ფედერატიულ-რესპუბლიკას მოითხოვს, სადაც უკრაინის ავტონომიასა და დროებით მთავრობის მიერ ცენტრალ რადის მიღებას მოითხოვს. ყრილობამ მიიღო უნივერსალი და სრულიად უკრაინელების ყრილობის პროგრამა მიწის საკითხზე. ადგილობრივ კომისარს პოდვისოცკის ნდობა არ გამოუცხადა.

ფინეთის დამოუკიდებლობა

იმპერატორის უფლებათა მიხაკუთრება

ჰელსინგფორსი. თიბათვის 28. სეიმში წარდგენილი პროექტი იმ კანონისა, რომელიც შემუშავებულ იქმნა საგანგებო კანონების კომისიის მიერ. მუხლი ა) ფინეთის სეიმი ამიერიდან თითონ დაადგენს, დაამტკიცებს და მოქმედებაში მოიყვანს ფინეთის კანონებს და განაგებს ფინეთის იმ საქმეებს, რომელსაც უწინ იმპერატორი და დიდი მთავარი სწყვეტდა, ძველ კანონების ძალით. დღევანდელი კანონი არ ეხება, გარეშე პოლიტიკას, სამხედრო კანონმდებლობას და მმართველობას. მუხლი ბ) მოწვეულ იქნება სეიმი მორიგ სესიაში. უმოწოდებოთ და თვითონვე დანიშნავს სესიის ვადას. მმართველობის ახალ ფორმების შემოღებამდე სეიმს უფლება აქვს, დანიშნოს ახალი არჩევნები და დაითხოვოს სეიმი. მუხლი ვ) სეიმი ჰნიშნავს ფინეთის აღმასრულებელ მთავრობას. უმაღლესი აღმასრულებელი ძალა დროებით ეკუთვნის ფინეთის სეიმის სამეურნეო დეპარტამენტს—რომლის წევრებს იღებს და ითხოვს თვითონ სეიმი. სეიმის კანონ-პროექტით—იგი შეამოწმებს მთავრობის წევრთა სამსახურის განკარგულებებს. 8 საათის მუშაობის კანონ-პროექტი მიღებულ იქმნა მეორე სხდომაზე.

„ხელისუფლებათა გაფართოება“.

ჰელსინგფორსი. თიბათვის 28. კომისიის კანონ-პროექტი ძირითადი კანონების და უმაღლესი მმართველობის შესახებ სრულიად მოულოდნელი იყო რუსეთის დემოკრატიულ ორგანიზაციებისთვის. გამოირკვა, რომ კანონ-პროექტს სეიმში ფარულად ადგენდნენ და გამომჟღავნების დროს მას „ხელისუფლებათა გაფართოება“ უწოდეს. კამათის დროს ბურჟუაზიული წრეები აღიარებდნენ რომ კანონ-პროექტი არ არის ნაყოფი ჯანსაღი მსჯელობის, და რომ ეს კანონ-პროექტი უნდობლობას გამოიწვევს დროებით მთავრობის მიერო. შვედეთის პარტიის ლიდერმა ლილემ განაცხადა:—მე იმ შემთხვევაში დავიცერთ მხარს, თუ კანონ-პროექტს დასამტკიცებლად დროებით მთავრობას წარუდგენთო“. ძველი ფინეთის პარტიის წარმომადგენელმა რაპტასარიმ ს. დემოკრატებს იმაში გაამტყუნა რომ მათ აღმასრულებელ კომიტეტის ცალკე სხდომა მოიწვიეს. ორატორმა განაცხადა:—სლავიანური სული ცვალებადია. შეიძლება ერთი კვირის შემდე ეს კომიტეტი აღარც კი არსებობდესო“. კენჭის ყრის დროს ბურჟუაზიულ პარტიის დიდმა ნაწილმა ხმარი არ დაუჭირა კანონპროექტს.

ფინეთის დამოუკიდებლობა და პარტიები

ჰელსინგფორსი. თიბათვის 28. სენატის წრეებში სეიმის დადგენილებას ჩვეულებრივად შეხვდენ. შვედომანის და ძველი ფინეთის პარტიების სენატის წარმომადგენლები ჰფიქრობენ, რომ სეიმის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება მათ იძულებულ ჰყოფს სამსახურს თავი დაანებონ. ამ ჟამად ფინეთს დამოუკიდებლობის და რუსეთ-ფინეთის ურთიერთობის საკითხებს საგანგებო სხდომა სწყვეტს, რომლის სათაეში ჩხეიძე არის და რომელიც სეიმის და პეტროგრადის დელეგაციის მიერ არის მოწვეული.

ფინეთის დამოუკიდებლობის განხორციელება.

ჰელსინგფორსი. თიბათვის 28. ფინეთის სეიმის მთავარ უფლებათა კანონპროექტი ფინეთის სენატის უფლებათა გასაფართოებლად არსებულ პროექტის ახალ რედაქციას წარმოადგენს. ეს კანონპროექტი წინა ღამეს უნდა წაეკითხნათ სეიმზე. სეიმის სხდომამ მთელ ღამეს გასტანა და დილის 7 საათზე დამთავრდა. პროექტი ზემოხსენებულ რედაქციით იქმნა მიღებული.

როგორც კანონის ტექსტიდან სჩანს, კანონ-პროექტი სრულებით არ იხსენიებს რუსეთს, მის სუვერენულ უფლებებს და რუსეთის ინტერესებს. კანონ-პროექტი უკვე გარკვეულად გამოსთქვამს ფინეთის დამოუკიდებლობის პრინციპს, თუმც იგი სრულიად რუსეთის მუშ. და ჯარ. დეპ საბ. ყრილობის რეზოლუციით მიღებულ ფრაზის შეცვლაა. კანონში ერთის სიტყვითაც არ ეხსენება გენერალ გუბერნატორი, როგორც სუვერენი რუსეთის ადგილობრივი წარმომადგენელი ბუნდოვან სიტყვებში დროებით საკითხების გამო სხვა ერებთან- თანხმობა გამოთქოვებულია. მეტად დამახასიათებელია ის, რომ სენატის სამეურნეო დეპარტამენტის ეხლანდელი შემადგენლობა, დროებით დატოვებულია, როგორც აღმასრულებელი ორგანო. ეჭვს გარეშეა, რომ ნახევრად ბურჟუაზიული სენატი ახალ დებულებას ვერ შეურიგდება და დაუყოვნებლივ გადადგება, რის შემდგომაც ახალი სოციალისტური სენატი იქნება ამორჩეული. როგორც სეიმის წრეები გადმოგვცემენ, სეიმს განზრახული აქვს გამოცხადებითი წესით ახალ კანონის შემოღება და დროებით მთავრობასთან დამოუკიდებლად ახალ სენატის დაარსება. პროექტს, როგორც ხმებია, შაბათ საღამოს წაიკითხავენ.

რუსეთი და უცხოეთი

ტუსაღების გაქცევა.

გომელი. თიბათვის 20. ტუსაღებმა ადგილობრივი სატუსაღოს კედლები დაანგრიეს და გაიქცნენ. მათ შორის 6 თვალსაჩინო ტუსაღია.

ყაჩაღობა.

მინსკი. თიბათვის 20. ქალაქის გაანაპირას, არქიელის ტყეში დაძრწიან ყაჩაღები და არავის ინდობენ. მათ მოსასპობად დაარსებულმა მილიციამ ვერა გააწყო რა.

ძარცვა-მკვლელობა.

ჯალუბა. თიბათვის 20. (დაგვიანებულია). 10 შეიარაღებული ბოროტგამზრახველი თავს დაესხა ტერენტევის საქსოვ ქარხანას. (სოფ. საკოლევკა. ბოროვის მაზრა). მოჰკლეს ტერენტევის (ცოლი. გაძარცვეს სახლი და მიიმალნენ.

სიმშილობა რუსეთში.

პეტროგრადი. თიბათვის 26. სასურსათო სამინისტროს ცნობით—ჩერნიგოვის, სმოლენსკის, კოსტრომის და კალუგის გუბერნიები დიდს სიმშილს განიცდიან.

ზავის დემონსტრაცია.

სტოკჰოლმი. თიბათვის 26. ბრიუნიდან იუწყებიან: ვილეგროდში, ზავის დემონსტრაცია მოხდა 30.000 კაცის მონაწილეობით.

ქ. მოსკოვის არჩევნები.

მოსკოვი. თიბათვის 26. თიბათვის 25-ს მოსკოვის ქალაქის საბჭოს არჩევნებმა ბოლომდე ჩაიარა. ჯარის-კაცები შეგნებით მონაწილეობდნენ.

„საქართველოს“ დეპეშა

ლეკების თავგადახმა.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

თელავი. თიბათვის 29. სოფელ საბუეში ასი ლეკი დაეცა მცხოვრებთ. ლეკებმა ათას ხუთასი ცხვარი გაიტაცეს.

ქრონიკა

თბილისი

◆ **ქართველ ჯარისკაცთა კავშირის** მიერ გამართულმა საღამომ თიბათვის 29-ს ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა, საღამოს ყველა განყოფილებას წმინდა ქართული ელფერი ჰქონდა. როგორც ამბობენ, მიუხედავად დიდი ხარჯებისა, წმინდა შემოსავალი 5 ათას მანეთამდე იქნება.

◆ **სურსათი.** თიბათვის 29-ს ქალაქის სასურსათო კომიტეტის სახელოზე მოვიდა 19 ვაგ ფქვილი.

◆ **გ. გ. კაფიევმა,** გუბერნიის სასურსათო კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგმა განცხადება წარუდგინა კომიტეტს, რომ მკათათვის პირველიდან თანამდებობ ს თავს ვანებებო.

◆ **შ. ნუცუბიძის ლექცია ეროვნულ საკითხზე** გუშინ-წინ თეატრ „აპოლოში“ პეტროგრადის უნივერსიტეტის მაგისტრანტმა შალვა ნუცუბიძემ ლექცია წაიკითხა „რევოლუციის და ეროვნულ საკითხის შესახებ“. ლექტორი სოციალისტ ფედერალისტურად არკვევდა საგანს. გაიმართა კამათი, ნაციონალ-დემოკრატიული თვალსაზრისი განავითარეს გრიგოლ ვეშაპელმა და შ. ლორთქიფანიძემ. გარდა ლექტორისა მათ უპასუხა გრიგოლ ლორთქიფანიძემ.

◆ **თბილ ხელა ბოლშევიკები და მენშევიკები.** გაზეთი „ერთობა“ შემდეგნაირად აღწერს ნაძალადევში მომხდარ მიტინგის ამბებს: თბილისის ბოლშევიკებმა თიბათვის 25, ნაძალადევში თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელ კომიტეტის მიერ დანიშნული საჯარო მიტინგი თავიანთვის გამოიყენეს; მთელი მიტინგი ორ ნაწილად გაჰყვეს, „თავსიანები“ მხოლოდ და მხოლოდ ჯარის კაცები „თავისუფლების მოედნიდან“ მოშორებით გაიყვანეს, აქ მოუყარეს ხალხს თავი და შეუდგნენ თავიანთებურ უკვანო აგიტაციას. განსაკუთრებით „ლიდერები“ ჯარისკაცებს „მენშევიკების“ წინააღმდეგ ამხედრებდნენ, უკანასკნელებს პროლეტარიატის მოღალატეების სახელით ნათლავდნენ, ბურჟუაზიული იმპერიალისტების პოლიტიკას მომხრეებს უწოდებდნენ და დამსწრეთ აძახებინებდნენ: ძირს ბურჟუაზიის და ომის მომხრე მეუმცირესენი და გაუმარჯოს პროლეტარიატსა და გალატაკებულ გლეხკაცობის ინტერესების დამცველ ინტერნაციონალურ ბოლშევიკურ პარტიასო! ბოლშევიკების მიტინგზე დამსწრე მენშევიკები აქეთ-იქით მიაწყდენ და ყველამ გაქცევით უშველა თავს. ვინც შემთხვევით არ იცოდა. თუ რა მოხდა ბოლშევიკების მიტინგზე და მიეშურებოდა უბრალო ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლათ — განსაკუთრებით მენშევიკების წინ უკან დაბრუნებული და თავზარდაცემულები უჭრევდენ, რომ იქით არ წასულიყვნენ, თორემ თქვენც ასეთი ბედი მოგელით, როგორც უკვე გალახულებსაო.

◆ **ავტომობილის მსხვერპლი.** თიბათვის 29-ს დამის 3 ნახ. საათზედ გოლოვინის პროსპექტზედ გაქანებული სამბარგო ავტომობილი დაეჯახა წინ მიმავალ ლინეიკას. ლინეიკაში მჯდომი ვექილი ზუბალაშვილი ისე ძრიელ დაეცა ქვა-ფენილზე რომ იქვე განუტევა სული; მასთანვე მსხდომნი ექიმი მანსვეტაშვილი და მელინიკე მცირეთ დაშავდნენ.

კავკასია

◆ **შუამდგომლობა.** ერობათა კავშირის ამიერ-კავკასიის კომიტეტმა დაადგინა იშუამდგომლოს სამხედრო მთავრობის წინაშე, რომ კავშირს მისცეს სუფსიდიის სახით 800 ათასი მანეთი სალდათებისათვის სასურსათო დუქნების მოსაწყობად ბრძოლის ველზე.

◆ **გლეხთა დეპუტატების პრეზიდიუმი.** ამიერ-კავკასიის გლეხთა დეპუტატების საოლქო ცენტრმა აირჩია პრეზიდიუმი. თავმჯდომარედ არჩეულია ნოე რამიშვილი, თავმჯდომარის ამხანაგებად—ზეინალოვი, ჯამალიანი და მერხეულოვი; მდივნებად—პ. გელეიშვილი, ერზინკიანი, ვერიგინი და პეპინოვი. პრეზიდიუმი მოთავსებულია სასახლეში.

საქართველო

◆ **ქართველ მაჰმადიანთა განთავისუფლება. ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტს დეპეშით ატყობინებს იუსტიციის მინისტრი პერევერზევი, რომ დროებითმა მთავრობამ სასჯელი აპატივა აჭარლებს, ლაზებს და დანარჩენ მაჰმადიანებს, რომელთაც სახელმწიფო ღალატი ბრალდებოდათ და სამხედრო ხელისამართლომ სხვა და სხვა სასჯელი მიუსაჯა მათთა.**

◆ **სვანეთის კომისარი.** ქუთ. აღმ. კომიტეტმა სვანეთის კომისრათ დანიშნა ბ-ნი იასონ გაბაშვილი.

ქუთაისი

◆ **რევოლუციონური სასამართლო.** ქუთაისში დაწესდა რევოლუციონური სასამართლო, რომელშიც სპეციალიტეტის პარტიების, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენლები არიან. ეროვნულ დემოკრატებისაგან იქ არიან გრიგოლ დავითიძე გველესიანი (მასწავლებელი), და ზაქარია მაჭავარიანი: სოც.—დემ.—გრ. გიორგაძე და გრ. ურატაძე; სოც. რევ. ივ. გობეჩია და გ. კაპანაძე, სოც. ფედერ. ნ. შურღაია და დ. დოლიძე და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსაგან ილია გეგეჭკორი, კ. წერეთელი, ნ. მაჭავარიანი და იანჩენკო. თიბათვის 23 მოხდა რევ. სასამართლოს საორგანიზაციო კრება. კრებამ დაადგინა ნება მიეცეს პოლიტიკურ პარტიებს იყოლიონ თავის წარმომადგენლების კანდიტატები, ბრალდებულს უფლება ეძლევა იყოლიოს დამცველი. სასამართლო ამ მოკლე ხანში დაიწყებს მოქმედებას. სასამართლოს მომხსენებლათ დანიშნულია ნ. მაჭავარიანი.

◆ **ქუთ. სამღვდ. დრ. აღმ. კომიტეტმა** რუსეთში მყოფ არქიმანდრიტ ამბროსის (ხელაია) შეატყობინა, რომ იმერეთის სამღვდელოებამ იგი აირჩია გელათის მონასტრის წინამძღვრათ. არქ. ამბროსი დეპეშით იტყობინება: ამ ჟამად საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის დელეგაციას პეტროგრადში მივდევ, დავბრუნდები და გელათის წინამძღვრობას მივიღებო.

პროვინცია.

ბგოხანი ბალმონტი თავისი მეუღლით თიბათვის 26-ს ბორჯომს ეწვია. ადგილობრივი საზოგადოება ჩვეულებრივი სტუმართ-მოყვარეობით დაუხვდა მათ. თიბათვის 27-ს ლექცია წაიკითხა ბგოხანმა „ვეფხვის ტყაოსნ“ შესახებ.

მოსკოველ ვაჭარ-მრეწველთა დარაზმვა და ჩვენი მხარე

დანამდვილებით არ ვიცით რევოლუციის ხანის რომელ თვის რიცხვში მოეწყო რუსეთის ვაჭარ-მრეწველთა ახალი ორგანიზაცია ქ. მოსკოვში, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ ამ ორგანიზაციის სულის ჩამდგმელები არიან პეტროგრადიდან ლტოლვილნი ბანკირები და მსხვილ-ვაჭრები.

ხსენებულ ორგანიზაციამ რუსეთის ყოველ კუთხისაკენ აფრინა კერძო წერილები, რომლებშიაც მოუწოდებს ვაჭარ-მრეწველთ მჭიდროდ დარაზმდნენ, ყველა ვაჭარი შეკრიბოს და მერე დელეგატები წარგზავნოს ქ. მოსკოვს, სადაც ალბად უნდა მოხდეს მათი ყრილობა. ერთი ამისთანა მოწერილობა, როგორცა სჩანს თბილისშიაც მოსულა, რადგან თბილისიდან უკვე დაიგზავნა სამაზრო ქალაქებში პირი არ მოწერილობისა.

ეს ფაქტი ღირსია ყურადღებისა და ჩვენც გვინდა ჩვენი მოსაზრება გამოვთქვათ. მთავარი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ სათავეში საქმეს ჩასდგომიან მოსკოველი მრეწველები. მოსკოვი კი რუსეთში პირველია მრეწველობაში და თუ მივიღებთ მხედველობაში იმასაც რომ უკანასკნელ 10—15 წლის განმავლობაში რუსეთის მრეწველობა ძლიერ განვითარდა და უფრო საგრძნობელი გახდა რუსეთის საქონლის ტრიალი უცხო ბაზარზედ; და ამასთანავე რუსეთის მრეწველობას დიდ მფარველობას უწევდა მთავრობა, როგორც შინ ისე გარედ, დავინახავთ რომ მფარველობას შეჩვეული რუსეთის მრეწველები ადვილად ვერ შეურიგდებიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ მოქმედებას, რომლის წინააღმდეგ დღეს ამხედრებულა მთელი რუსეთის დემოკრატია. აი სწორედ იმიტომ ამბობენ რუსეთის ბურჟუაზია, რომ სამუდამოდ არ დაჰკარგოს საკვები და კვლავ ითხოვს ახალი დროშა „ომი გამარჯვებამდის“. მართალია დამარცხება ყველა კლასს დააწვება მძიმე ტვირთად, მაგრამ ნამეტნავად კი რუსის ბურჟუაზიას და ისიც რუსეთის მრეწველობას ტეხნიკურად გასუვითარებელს.

მრეწველის ბუნება იმპერიალისტურია, ვაჭრის ბუნება სხვა არის. მისი დანიშნულებაა შუამავლობა გასწიოს მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის.

მრეწველი რომ საქონელს ამზადებს ღირებულებას იკვლევს და ამ ღირებულებას მუშაკებს იმ ჯამს, რომელიც უნდა შეჰქონას წვინდა მოგება.

ვაჭარს საქმე აქვს უკვე ფას დადებულ საქონელთან და ბაზრის მაზანდასთან. ამ რიგად მრეწველს უფრო დიდი ხიფათი მოელის მაზანდისაგან ვიდრე ვაჭარს. ვაჭარმა თუ შარშან ერთი მრეწველისაგან იყიდა განსაზღვრულ ფასში საქონელი ეს იმიტომ რომ იგი უფრო ხელსაყრელი იყო, როგორც ღირსების მხრივ ისე ფასის მხრივ მეორე წელიწადს ვაჭარს შეუძლიან უფრო იაფად შეიძინოს იმ ჯურის საქონელი სხვა მრეწველისაგან.

მოკლედ რომ ვსთქვათ ვაჭრისთვის, როგორც ასეთისთვის, სულ ერთია იყიდის იგი საქონელს რუსისაგან, ინგლისელისაგან თუ სხვა ვინმესაგან და ამიტომ ვაჭარი ყოველ შემთხვევაში გაცილებით ნაკლები იმპერიალისტია და უმეტეს შემთხვევაში იმპერიალიზმი მისთვის გაუგებარი რამ არის.

თუ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ როგორც თბილისი ისე მისი გუბერნია არ არის მრეწველი, არამედ იგი ხასიათდება ვაჭრობით, მაშინ ამკარად დავინახავთ, რომ ჩვენებური ვაჭარი არ შეიძლება იყოს იმპერიალისტი და მისი შესვლა ზემოხსენებულ კავშირში შეცდომა იქნება.

ჩვენი ვაჭარი ნამდვილი დემოკრატიული ელემენტია დღეს. იგი უნდა იყვეს დემოკრატი, მხოლოდ იცავდეს კერძო საკუთრებას და მეოცე საუკუნის შესაფერ ღვიძ-მიცემობის ხასიათს. დღევანდელი რევოლუცია კი არა სპობს თვის ლოკალურ დასკვნით არც კერძო საკუთრებას და არც აღებ-მიცემობას.

ვაჭრები უნდა გაბრთხილდნენ და მოსკოველ მრეწველთა იმპერიალისტურ ანკესს არ წამოეგონ.

ა.—ე.

თანამედროვე რუსეთი

რაც დღე გადის მით უფრო მეტად ღრმავდება რუსეთის რევოლიუცია, მაგრამ, საუბედუროდ, ეს გაღრმავება გამოიხატება არა ხალხის რევოლიუციონური სულის კვეთებით გაერთიანებაში და საერთო მიზნისაკენ შეთანხმებულ მსვლელობაში, არამედ ცხოვრების არევ-დარევაში, ანარქიაში.

მაღე ოთხი თვეა, რაც თვით ხალხი ჩაუღგა სახელმწიფოს მართვა-გამგეობას, მაგრამ დადებითი მუშაობა დღემდის არ ხერხდება. სურსათ-სანოვაგის, ვაჭრობა-მრეწველობის და სხვა მრავალი საკითხები არიან თითქმის ძველებურადვე გამოუკვლეველი. საერთოდ და სავალალოდ რუსეთის რევოლიუციამ ვერ წარმოშვა ისეთი ძალები, რომლებიც ჩამდგარიყვნენ სახელმწიფოს სათავეში და მძლავრის ნების ყოფით და გარკვეული მსვლელობით წაეყვანათ ხალხი დასახულ მიზნისაკენ, — დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

სახელმწიფო კი გახლავთ დიდი და რთული მექანიზმი. იგი იგება მრავალ საუკუნოებით და აქვს მრავალზედ მრავალი საჭიროება, დაუკმაყოფილებლობა რომელიც თვის თავად ცხადია იწვევს სახელმწიფო ორგანიზმის დაავადმყოფებას, მის ცხოვრებითი ძალების დადუნებას.

სწორედ ამიტომ გარეგნობით ჯერ ისევ უზარმაზარი და სულ სამიოდე წლის წინ ყველასათვის შიშის მომგვრელი რუსეთი დღეს უძლურია. მას არ ყავს მთავრობა, რომლის ავტორიტეტსაც სცნობდეს ყოველი მისი ქვეშევრდომი და ჯარი, რომელსაც ჰქონდეს დისციპლინა.

თვის ისტორიულ მსვლელობაში რუსეთის სახელმწიფოებრიობა მხოლოდ ერთხელ გახლებულა ამგვარ მდგომარეობას. ეს გახლდათ 1609—1612 წლებში, როდესაც პოლონეთის მხედრობამ ააფრიალა თავისი დროშები თვით მოსკოვშიაც კი. და თუ მაშინ რუსეთმა ჰპოვა შველა „Земскій Соборˮ-ში, დღეს ამგვარივე მოვალეობა უნდა შეასრულოს დამფუძნებელმა კრებამ. რაც მალე იქნება მოწვეული უკანასკნელი, მით უფრო ადვილია შველა სახელმწიფოსი.

გრ. ცხაკაია.

საქართველოს საკათალიკოსო პრეგის წინასწარი სათათბირო

საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ საჭიროდ სცნო დაარსოს საკათალიკოსო კრების **წინასწარი სათათბირო,** რომელმაც უნდა შეკრიბოს და დაამუშაოს მასალები იმ საკითხთა გამოსარკვევად, რომელნიც კრებამ უნდა განიხილოს. წინასწარი სათათბირო გაითვალისწინებს და დაამუშავებს დაახლოებით შემდეგი რიგის საკითხებს:

I. **საქართველოს საკათალიკოსო კრება.** 1) ადგილი და დრო კრების მოწვევისა. 2) კრების შედგენილობა და წევრთა ამორჩევის პრინციპი. 3) კომპეტენცია კრებისა.

II. **საქართველოს ეკლესიის ორგანიზაცია.** 1. საეპარქიო-მმართველო ეკლესიისა—კათალიკოს-პატრიარქი, საკათალიკოსო კანდიდატები და მათი თვისებანი; კათალიკოსის არჩევის წესი-რიგი, მისი კურთხევა და ინტრონიზაცია. 2) საქართველოს ეკლესიის იერარქია: ეპისკოპოსი, მღვდელი და დიაკონი. ამ პირთა კანდიდატები, მათი თვისებანი და არჩევნები. 3) მედავითნე და სხვა არა იერარქიული თანამდებობანი; ქალთა კანდიდატურა ასეთის თანამდებობაზე და საზოგადოდ მათი როლი ეკლესიაში. 4) ეპარქია—სამრევლონი, მათი სივრცე და რაოდენობა. ესპარქიოლება თუ არა საქართველოს ეკლესიას სამიტროპოლიტო ოლქები და საქორეპისკოპოსები? 5) სამრევლო და მისი აუცილებელი რეფორმა.

III. **საეკლესიო სამართალი და მართველობა.** 1) წყაროები ქართულ საეკლესიო სამართლისა, მათი ცნობა-შეყვანა და სახელმძღვანელოდ გამოცემა. 2) საეკლესიო სამართლის სუბიექტი და ობიექტი. 3) საკათალიკოსო, საეპარქიო, საოლქო და სამრევლო საბჭოები, როგორც სამმართველო ორგანოები, მათი შედგენილობა, კომპეტენცია, მოქმედების ორგანიზაცია და შტატები. 4) სახელმწიფო დაწესებულებებთან და სხვა აღმოსავლურ ეკლესიებთან ურთიერთობის ორგანოები. საჭიროა თუ არა ობერ-პროკურორისებური შუა კაცი სახელმწიფოსა და ქართულ ეკლესიის შორის.

IV. **კულტი და ჩვეულებანი.** 1) ღვთის მსახურების მოწესრიგება, ცხოვრებასთან შეფარდება და რეალ ისტორიულ-არქეოლოგიურ ნიადაგზე განმარტივება. 2) ბუროთ-მოძღვრების გეგმის აღდგენა—გამორკვევა და დაცვა. 3) საეკლესიო მხატვრობა, მისი ტრადიციები და ეროვნული იდეალები. 4) საეკლესიო გალობა, მისი აღდგენა-დამუშავება და მოწესრიგება. 5) სამღვდელო პირთა ტანისამოსი,

მათი გარეგნობა და საზოგადოებასთან დამოკიდებულება. 6) ხალხში ძველი დროიდან დარჩენილი საეკლესიო-სარწმუნოებრივი ადათები და წნე-ჩვეულებანი. 7) მართლ-მადიდებელ ეკლესიის მარხვანი.

V. **სავანენი და ბერმონაზონობა.** 1) სამონასტრო დისციპლინის აღდგენა. 2) სამონაზნო ცხოვრების მოწესრიგება, მისი რეალ ცხოვრებასთან დაახლოვება და კულტურულ-განმანათლებელი სამსახური. 3) მონასტრების დაცვა-შენახვა, როგორც ეროვნულ-კულტურული მოვალეობა.

VI. **ეკლესიის შენახვის წესი.** 1) სამწყსოს მონაწილეობა სამღვდელოების შენახვაში. 2) საეკლესიო და სამონასტრო მამულები, როგორც ხაზინის ხელში გადასულნი, ისე ჯერ კიდევ შენარჩუნებულნი. 3) საქართველოს საეკლესიო ხაზინის თანხები. 4) საეკლესიო მეურნეობა.

VII. **სასულიერო განათლება.** 1) არსებულ საეკლესიო სკოლათა ეროვნულს ნიადაგზე რეორგანიზაცია ანა და ახალი ტიპის შემუშავება. 2) საჭიროა თუ არა „სამოძღვრო სკოლა“? 3) სამოსწავლო სახელმძღვანელოთა შექმნა და საჭირო მასწავლებელთა მომზადება. 4) ქართულ საღვთისმეტყველო მწერლობის აღმოცენებისა და განვითარების პირობები. 5) სასულიერო ჟურნალისტიკის საჭიროება.

VIII. **საქართველოს ეკლესია და თანამედროვე მომენტში წამოყენებული საკითხები.** 1) ეკლესია და დემოკრატიული პრინციპი. 2) რომელი პოლიტიკური ფორმა უფრო შეუწყობს ხელს ეკლესიის მიზნების განხორციელებას? 3) სოციალ-ეკონომიური და ეროვნული საკითხები ეკლესიის თვალსაზრისით. 4) ეკლესიის და სახელმწიფოს ურთიერთობა.

კრების მოწვევის დასაჩქარებლად დროებითი მმართველობას საჭიროდ მიაჩნია იმ პირთ, რომელთაც სათანადო ცოდნა-მომზადება შესწევთ, დაუყოვნებლივ აცნობონ მას, იტვირთებენ ისინი თუ არა რომელიმე, აქ დასახელებულ, საკითხის დამუშავებას.

ახალციხის მხარე

აგერ სამი წელიწადია რაც წამოვაყენეთ ლოზუნგი: ბრძოლა ქართველ მაჰმადიანების ეროვნულ გათვითცნობიერებისათვის, მაგრამ საქმე ძალიან ცუდად არის დაყენებული..

ახალციხის მაზრა, როგორც მოგეხსენებათ აკუთნია საქართველოს ისტორიისა. ამ მაზრაში მცხოვრებ ქართველობის უმრავლესობა მაჰმადიანები არიან. უმეტესობას ქართული ენა შენარჩუნებული აქვს. მათში ეროვნული გრძნობის გაღვიძება შესაძლებელია. საჭიროა ეხლოდვე მუშაობა, საჭიროა მათი ჩაბმა საქართველოს საერთო ცხოვრებაში.

შარშან წინ დაარსდა აქ საქველმოქმედო საზოგადოების განყოფილები, რომელიც შეუდგა მუშაობას მაჰმადიანთა შორის: გახსნა ორი თავშესაფარი, დაარსა ერთი სკოლა, მოახდინა გადმოხვეწილ და ომისაგან დაზარალებულ მაჰმადიანთა რეგისტრაცია და დაურიგა მათ რამოდენმეჯერ ცოტა ფული. მაგრამ ამ ბოლო დროს უსახსრობის გამო თითქმის მთლად უნდა შეწყვიტოს თავისი მოქმედება. თავშესაფრები დღითი-დღე ცარიელდება. პირველ წელს მოხვეჭილი სახელი მაჰმადიანთა შორის თანდათან სუსტდება. თუ შარშან წინ მთელ ამ მხარეში ყველა გაიძახოდა, ქართველი ერის ნაწილნი ვართო ვეუბნობ, რომ ეს აზრი ეხლაც შეცვლილიყოს.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციებიც არ აქცევენ ამ კუთხეს შესაფერ ყურადღებას: არც სოციალ-დემოკრატები, არც სოციალისტ-ფედერალისტები და არც ეროვნული-დემოკრატები. მართალია ქ. ახალციხეში არის სამივე პარტიის განყოფილება, მაგრამ უღონო და უფერული. ეს განყოფილებები ქალაქის მოთხოვნილებებსაც კი ხერხიანად ვერ უძღვებიან, მაზრისთვის ხომ ესენი არაფერს არ აკეთებენ. საჭიროა რომ პარტიების ცენტრალ ორგანოებმა გააჩაღონ აქ მუშაობა, გამოჰგზავნონ ხალხი და აქაურ ბნელ ხალხში შეგნება შეიტანონ. სამუშაო კი ბევრია. ეროვნულ იდეას რომ თავი დავანებოთ, რამდენ მასალას აძლევს ყოველივე პარტიას ენერგიის გამოსაჩენად აქაური სოციალური პირობები ცხოვრებისა. მარტო ის, რომ აქაური გლეხობა განთავისუფლდეს ბეგების და მოლების გამბრწყინვალი ბატონობისაგან, მარტო ეს მოითხოვს დიდს შრომას.

აქაური ხალხი იმ ზომაზე შეუგნებელი აღმოჩნდა, რომ ახალი რეჟიმის დროს ყოველგან ძველი პოლიციელი მოხელენი ამორჩია კომისარებად და აღმასრულებელ კომიტეტების წევრებად. არავინ არის შეგნების შემტანი.

ამ შეუგნებლობით სარგებლობენ ბოროტნი. ასეთ კატეგორიის ხალხი სცდილობენ შეინარჩუნონ აქაური გლეხობის ნდობა და უუნდათ დასთესონ შუღლი მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა შორის. კარგად იციან, რომ საქართველოს გავლენა ახალციხის მაზრაზე პროგრესიული ხასიათისაა, და მათ კი ეს გავლენა ყოველივე ნდობის დაკარგვას უქადის. ამისათვის დაძრწიან სოფლებში (აჭარაშიც გადასულან თურმე) და ატყუებენ ბნელ ხალხს, რომ მოერიდენით ქართველებს, მაჰმადიანთა გაქრისტიანებას სცდილობენო. ამით ეს ბნელეთის მოციქულები ჰფიქრობენ წინ წამოაყენონ სარწმუნოების საკითხი და დაჩრდილონ სხვა საკითხები: პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული და სხვ.

ასე წაყვანა საქმისა სარწმუნოების მეობაში გარდუვალ უფსკრულს სთხრის საქართველოს პროგრესიულ ელემენტთა და აქაურ ჩამორჩენილ ხალხის შორის. ასე, ერთი დაკვრით ავ-კაცებს ჰსურთ გაღრმავონ სარწმუნოებრივი განხეთქილება ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა შორის და ამით შეინარჩუნონ ძველებური ბატონობა. და თუ ქართველებმა ან საზოგადოდ შეუნებულმა პირებმა არ შეუშალეს ხელი, მათ თარეშს ბოლო არ მოეღება.

საზოგადოდ, ქართველობა მოწყვეტილია დანარჩენ საქართველოს. არავინ არ გვაქცევს ყურადღებას. და რადგან ხბარს არავინ გვიპერს, იმ ზომაზედ დავუძღურდით, რომ შოვინისტურ და კონტრ-რევოლიუციონურ შემოტევიდანაც ვერ დაგვიცვია თავი. მეტი ყურადღება აქაურ ცხოვრებას. მეტი მუშაკები აქეთ. მეტი ადგილი პრესაში აქაურ ვითარებას. სიმართლესთან შორს არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სწორედ ახალციხის მაზრა არის ფრონტი რევოლუციის და რეაქციის ბრძოლის. თუ კავკასიაში სადმე გაჩნდა კონტრ-რევოლიუციონური მოძრაობა, ეს მოძრაობა უწინარეს ყოვლისა იჩენს თავს ახალციხის მაზრაში. იმდენად მოგროვებულია აქ შესაფერი მასალა, ყოფილი შავრაზმელები, სამსახურიდან გაძევებული პირები, ეროვნული შუღლის გამო საზოგადოებაში მოქცენ რევოლიუციონურ ორგანოებს, როგორც მაზრისას, ისე ქალაქისას და სცდილობენ თავისი გავლენა გამოიყენონ. ამ მიზნის მისაღწევად ისინი ყოველ ზომას ხმარობენ რომ წააქეზონ უმრავლესობა, როგორც მაზრაში, ისე ქალაქში, შოვინისტურ და რეაქციონურ მოქმედებაზე. ობიექტი ამ შოვინისტურ პოლიტიკისა—ქართველობაა, ყველაზე უფრო შეგნებული და რევოლიუციონური ელემენტი ამ მხარეში. არა მხოლოდ ეროვნული მოსაზრებით, არამედ რევოლუციის საზოგადო იდეის გასამარჯვებლადაც აუცილებლად საჭიროა, აქაურ ქართველობას საქართველოს ცენტრიდან ზურგი გავუმაგრთ.

მ—ი.

შავ-ზღვის ფლოტი

სევასტოპოლიდან მოსკოვში დაბრუნებულ გ. ა. ალექსინსკიმ შემდეგი გადასცა „რ. სლოვოს“ თანამშრომელს:

— ახლად მომხდარი ამბები გამოწვეულია კრონშტადტის ამბის და ჰელსინგფორსის ღონინელთა ოინბაზობით. მათი მიზანი იყო შავი ზღვის ორგანიზაციის დაშლა და უნდობლობის გამოცხადება დროებით მთავრობისადმი. ერთი ლენინის მომხრეთაგანი აშკარად მოუწოდებდა აფიცერთა დასატყვევებლად და სცდილობდა ქალაქში გაეყვანა მატროსების ჯგუფი, რომელიც ქალაქს განაპირად იყო დაბანაკებული. ეს ასეც მოხდებოდა, რომ საქმეში არ ჩარეულიყო პეტროგრადის მეციხოვნე რაზმის ჯარის კაცა კ. გ. კისკოვი, რომელმაც პირდაპირ იხსნა შავი ზღვის ფლოტი დეზორგანიზაციისაგან, ხოლო სევასტოპოლი „პაგრომს“ გადაარჩინა.

ოსმალ-გერმანელებმა ისარგებლეს შემთხვევით და შავ ზღვაში გამოგზავნეს კრეისერი „ბრესლაუ“ აგრედვე მოაშველეს „ჰიმპენიც“. „ბრესლაუ“ რუსეთის სანაპიროსკენ მოდიოდა. საბედნიეროდ მას შეეხეჩა რუსეთის სამხედრო გემი „თავისუფალი რუსეთი“ რომელმაც იგი აიძულა დაბრუნებულიყო. ოსმალთა კრეისერმა მაინც გაანადგურა ერთი მოწინავე საყარაულო და ხელთ იგდო ტყეები და ტყვიის-მფრქვეველები. კრეისერის გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც სევასტოპოლზე ისე ფლოტში მატროსებმა ახლა კი შეიგნეს, თუ რი ნაყოფს მოიტანდა ფლოტის ის დეზორგანიზაცია, რომელსაც ლენინის მომხრენი აპირებდნენ. თუ მართლაც დაეტყვევებინათ აფიცრები, გემი ვერ შეძლებდა მოქმედებას და სევასტოპოლის ნავთსადგურში ჩაკეტილი ვერ გადურჩებოდა გერმანელთა გზირ კრეისრებს და სიკვდილს მოციქულ-წყალქვეშებს...

მიწის მესაკუთრეთა შეკავშირება

მოსკოვში დაარსდა „მიწის მესაკუთრეთა სრულიად რუსეთის კავშირი“. განყოფილებები გაიხსნა ბევრგან პროვინციებში.

პირველი საერთო ყრილობა კავშირის დელეგატებისა მოხდება მომავალი ივლისის პ რველს.

ყრილობის საგანია—კავშირის და მისი განყოფილებების წევრნი შეთანხმდენ მოქმედების მთავარ მიზნებსა და პროგრამაზე, გამოიმუშავონ ზომები და ღონისძიებანი სასოფლო სამეურნეო კულტურის დასაცავად და გასაუმჯობესებლად, მიწის მფლობელობის საკითხის გადასაწყვეტად და ანარქიასთან ანგარიშის გასაწევად.

საზოგადოების თავყრილობამდე იქაც იმართება კრებები. დღისის კრებას, მაგალითად, დასწრებია 500 დელეგატი, უმთავრესად გლეხები. ბევრი ულაპარაკნიათ სოციალისტურ პროექტების წინააღმდეგ. მიწის საკუთრება უცვნიათ წარმატების დედა-ბოძათ.

მთავარი კომიტეტი ამ ახალ საზოგადოებისა იმყოფება მოსკოვში, ნოვინსკის ბულვარი, სახლი № 32.

კომიტეტი ითხოვს თანამგრძნობელთაგან დაარსონ განყოფილება კავშირისა ყოველგან, სადაც ამას მოითხოვს გარემოება.

კორესპონდენცია

ოსმალეთის ფრონტიდან

მამახათუნი. აქ არსებობს სამკითველო, ამით აქაური დროებითი მცხოვრებნი დიდად სარგებლობენ. სამკითხველოშივე იყიდება რუსული წიგნაკები და გაზეთებიც. ღღეს სხვათა შორის, თვალი მოვკარი ორიოდე ქართულ წიგნებსაც. ადმასრულებელი კომიტეტის მუშაობაც კარგად მიდის და ყოველი ახმხანაგი ჯარის კაცი ნიად არის თავისი ღონე შესწიროს მუშაობას. გვაქვს აგრეთვე თეატრიც, მაგრამ წარმოდგენები მხოლოდ კვირაში ერთხელ იმართება. ამ წარმოდგენებს ხალხი ძალიან ეტანება. ბილეთები სწრაფად იყიდება. შემოსავალი მუდამ სრულია. ბილეთების ფასიც არ არის დიდი 50 კ.—5 მან. თეატრის შენობა თათრის ძველი დანგრეული სახლია, რომელსაც სახურავი არა აქვს, მხოლოდ ილბალზე დარჩენილა ოთხი კედელი, სიმაღლით 3 ადლამდის. ზევით გადახურულია ტილოთი. შიგნით სდგას სკამები, მაგრამ ყველა ერთი სიმაღლისაა, ასე რომ უკანა რიგს სცენაზე ყურება უძნელდება. თითბათვის 11-ს იყო წარმოდგენა, მაგრამ ღამის 9 საათზე კოკის პირულმა წვიმამ დაუშვა და მსახიობ-მაყურებელნი ერთიანად დაასველა. ამასთანავე საშიშია რომ, თეატრის კედლები ჩაინგრეს, რადგანაც კედლები სუსტია და ზედ კი უბილეთო ხალხი მეტი აზის, ვინემ შიგნით მაყურებელები.

ამიერ-კავკასიის რკ. გზის

ბათარეისადგების მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თბილისიდან გადის:

ბათუმისკენ	სატ.	№ 3,	11.03 დილ.
„	სამგზ.	№ 9,	11.43 სალ.
ბორჯომისკენ	სამგზ.	№ 19,	3.20 დღ.
„	„	№ 17,	8.27 დილ.
გორისაკენ	სამგზ.	№ 61,	9.10 დილ.
ბაქოსაკენ	ჩქარ.	№ 6,	9.20 დილ.
„	სამგზ.	№ 8,	8.54 დღ.
„	სატ.	№ 4,	9.28 სალ.
ყარსისაკენ	სამგზ.	№ 4-8,	11.15 სალ.

თფილისში მოდის:

ბათუმიდან	სამგზ.	№ 10,	7.51 დილ.
„	სატ.	№ 4,	8.38 სალ.
ბათ.-ბორჯ.	სამგზ.	№ 20,	7.43 დილ.
„	სამგზ.	№ 18,	10.12 სალ.
გორიდან	სამგზ.	№ 62,	6.34 სალ.
ბაქოდან	სატ.	№ 3,	10.08 დილ.
„	სამგზ.	№ 7,	4.12 სალ.
„	ჩქარ.	№ 5,	10.40 სალ.
ყარს-ჯულფ.	სატ.	№ 3***,	8.10 დილ.

ექიმი

კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა ნნეულებიან

ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელეფ. 15—00

ხილეული, მადნეული წყლის მხარებელი საზოგადოების ჯანმთელობის ინტერესი მოითხოვს: **მოითხოვოთ და სვან ყოველთვის მხოლოდ ლაღიძის** და **ამხ-ს ქარხნის ხაუკეთესო** ხილეულ მადნეულის **ნამდვილი სამკურნალო** წყალი და გაუფრთხილდენ, მის ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი ერთობ გაზრდილია და ხშირად შეცდომაში შეყავთ, მხმარებელი საზოგადოება, თავიანთი დაბალი ნაწარმოების **ყალბი** ეტიკეტების მიმსგავსებით **ნამდვილი ლაღიძის წყლის** ეტიკეტის ნიშანი შემდეგია

ქათრთულად თავმორთული ქალის სურათი, რომელიც დამტკიცებულია საგანგებო **სამრეწველო მინისტრის მიერ** პეტროგრადში ტ თვით პრობკებსაც აწერია

„ლაღიძის წყალი“

მხოლოდ და მარტო ლაღიძის წყალია მომზადებული სრულიად უვნებელის მადალი დირსების მახალებისაგან, ნამდვილი და საუკეთესო ხილის წვნით და მასთანავე

—სუნი და გემოც საამური აქვს—

წლ.

1917 წ. მიიღება ხელის მოწერა

დახუთებულ საუმაწვილო ჟურნალ

„ნაკადული“-ზე

ჟელიწადი მეთოთხმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი 3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ფოსტისთვის: Тифлисъ Головинскій пр., 8. შემოსასვლელი დავითის ქ. № 2 დაწვრილებით ჟურნალში. რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი თ-დ **პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.**

(291—43)

მაისის 7-დან გამოდის ქართველ სამხედრო პირების თანამშრომლობით გაზეთი

„ჯარის კაცი“

გაზეთი წლის დამლევამდე ეღირება 4 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: г. Тифлисъ. Редакція газ. „Джарисъ Каци“. Почтовый ящикъ № 190

რედაქცია და კანტორა მოთავსებულია სასახლის ქუჩაზე № 5 და ღია არის დილის 10—2 ს. და საღამოს 7—8 ს.

10—740—4 რედაქტორ-გამომცემელი კ. ცქიტიშვილი.

წიგნის გამომცემლობა „განათლება“ ქუთაისში

ამ უამად იბეჭდება წიგნის გამომცემლობის „განათლების“ შემდეგი გამოცემანი:

1) ქართული გრამატიკა (ვრცელი) სილ. ხუნდაძისა.
2) ქართული გრამატიკა (მოკლე) მისივე.
3) ქართული მოკლე გრამატიკა იას. ნიკოლაიშვილისა.
4) ელემენტარული გეომეტრია, შედგ. ს. ოცხელის მიერ.
5) ალგებრაულ ამოცანათა კრებული, შედ. ს. შარაშენიძისა და ნ. სვანიძის მიერ.
6) არითმეტიკული კრებული გიმ. I კლ. } ალ. ჯაფარიძისა,
7) „ „ „ II „ } ს. დათეშიძისა
8) „ „ „ III „ } ალ. მგალობლიშვილისა.

მზადდება გამოსაცემად:

ქართული ანბანი შედგ. მასწავლებელ ქალთა ჯგუფის მიერ.
ქართული ენის სახელმძღვანელო გიმ. I და II კლ. } შედგ. ქუთ. ქართ. გიმნ. მასწავლებელთა ჯგუფის მიერ.
„ „ „ „ III და IV „ }
პირველდაწყებითი ალგებრა მე-III და IV კლ. კურსი ს. ოცხელისა.
გეოგრაფია ივანოვისა I კლ. კურსი (თარგმანი)
ქართული სიტყვერები, ნოტებზე გადაღებული ნ. შარაბიძის მიერ (საშვილო გამოცემა)

მიღებულია აგრეთვე სხვა და სხვა წიგნი, რომელთა გამოცემის შესახებ ცალკე განცხადება იქნება.

მისამართი: Кутаисъ, кгигоиздательство „Ганатлеба“.

Ш წელ. მიიღება ხელის მოწერა 1917 წელს III წელ.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„თავისუფლება“-ზე

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანზე სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი პირვ). წლიურათ ჟურნალი ეღირება 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., სამი თვით 2 მ. თვიურად 80 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეუძლიათ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრების ყიდვა შეიძლება მხოლოთ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), ისიდორე კვიცარიძესთან. თბილისში, კავკასიის საფერშლო სკოლის მოწაფეებთან, ტერენტი გ—ძე სვანიძესთან და შალვა იასონის ძე მეგრელიშვილთან. ჭიათურაში—პლატონ პ—ძე კილასონიასთან, სამტრედიაში მინა კოპალეიშვილთან, ფოთში—ნესტორ დოლიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, ბაქოში—სანდრო ჭურიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში და მოსკოვში, სტ. შალვა დ. გომართელთან. ფული უნდა გამოგზავნოს ამ მისამართით:

Кутаисъ, Роману Спиридоновичу Панцхава.

გამოცემა კნ. ეკატერინე მიხ. ერისთავისა

ნ. ბარათაშვილის ლექსები და წერილები

სრული აკადემიური გამოცემა სურათებით.

გამოცემაში დაიბეჭდება სრული ტექსტი ერთის ვარიანტისა (აღნიშნული იქნება ყოველი, სულ მცირე განსხვავებაც, დანარჩენ ვარიანტებისა. წიგნს დართული ექნება ვრცელი ბიოგრაფია და წერილები ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ:

ხ. გორგაძის—„ნ. ბარათაშვილის ლექსის ფორმა“.
ე. თაყაიშვილის—„ხელთნაწერის მიმოხილვა“.
ნ. დუბრავსკის—„მცოფლიო სევდა და ნ. ბარათაშვილი“.
ი. მეუნარგიას—„ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა“.
გრ. რობაქიძის—„ნიკო ბარათაშვილი“.
დ. უზნაძის—„პოეტის სული“.

გარდა ამისა თვითეულ ლექსს ექნება დაწვრილებითი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული განმარტება.

წიგნი შემკული იქნება სამოცზე მეტი სურათით (იმ ადგილებისა და პირების, რომელნიც მოხსენებულნი არიან ნ. ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებში) და პოეტის მრავალის ავტოგრაფით.

წიგნის ფასი ხელის მოწერით ხამ მანეთ-ნახევარია (3—50). სამასი ცალი დაიბეჭდება სქელ ქაღალდზე და ეღირება ხუთი მან.

(10—555—17)

საავადმყოფო

სამხედრო ექიმ სპეციალისტებისა მოსახარულო ავადმყოფებისათვის:

დიდი ვანქის ქუჩა № 3. ალექსანდრეს ბაღის ახლო, ტელეფონი 431.

ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საადმდე.

ბელანუე—ბავშვთა შინაგან ავადმყოფობისა. დებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
გეინაცი—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახპახოვი—ყელის, ყურის და ცხვირ. 1—2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
ფირადოვი—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
მონხე—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
ჩუდნოვსკი—შინაგან და ნერვიულ ავად. 12—1ს ათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
ბეგზადოვი—ქალთა და საბებიო ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
იოხელიანი—ქალთა დ საბებიო ავად. ღებულობს ორშ., ოთხშ. დ პარ. 11—12 ს.
ნარიმანოვი—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
დეკანოზოვი—ქალთა ავად. სამშაფათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
ტროიცკაია—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
ბაგდოევიხა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
ალიხანოვიხა—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.

100—667—28

თევზის მრეწველნი

ამ. მეგველაძენი

პოშაინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 112.

ყოველ დღე მოგეყიდის საკუთარ და საგანგირო ბაღის, ტ. **ნ. ბარათაშვილის-შვილის**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ბიზანდელი, მცირე მარილიანი, შავი „მგ შაიბა“ ხიბილალი. მიიღებთ საუკეთესო ხალიანის შამაიები მუდმივ გვექნება ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მწკერის ხუთი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიდგმული ყოველგვარი კონსერვები და სარდინები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება. (წ.)

რედაქტორი ბაიბუღლ მეუაკელი. სტამბა „ცხოვრება“ ასლან კალანდაძისა გაბაევის შესახვევი № 4 გამომცემელი ამხანაგობა „საქართველო“